ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 22 აგვისტო, 2022 №164 (8942) ფასი: 80 თეთრი

## პატიმარმა ბადრაგს იარაღი წაართვა და თვითმკვლელობა ცადა



გვ.5

# „ივანიშვილი დასავლეთთან ომს ვერ მოიგებს“



კახა ქემოკლიძე: „ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს არც ოპოზიცია ასრულებს“



გვ.2

## „როდესაც მოკავშირეს ასე საჯაროდ აკრიტიკებ, საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები იწყება“



გვ.3



## „ომს პუტინის წასვლის შემდეგ ვერავინ გააგრძელებს“



„კიდევ რამდენიმე ასეთი დარტყმა და ყირიმი დაცარიელდება“

გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო-სომხეთის 160 მეტრი სიგრძის 4-ზოლიანი ხიდი რეგიონში უნიკალური პროექტია“



გვ.3

## პროკურორის ინფორმაციით, ლაშა ნაკაიძის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი შურისძიებაა



გვ.5



„ბალგალკით“ გავალე ორივე სეიფი“ — რომელი სკოლის დირექტორი ფიგურირებს რადიოაქტიური ნივთიერებების საქმეში



„რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგის წახალისებაა“ — პაპუაშვილი პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე



გვ.2

1993230720223

4 ბათუმის აგრარულ ბაზარში 2.5 ტონა „საეჭვოდ მიჩნეული“ ხორცი დაილუქა

6 ინდოეთში ძლიერმა წვიმებმა და მეწყერმა, სულ მცირე, 50 ადამიანი იმსხვერპლა

5 შსს გავრცელებულ ინფორმაციას პოლიციელების მიერ უწყების მასობრივად დატოვების შესახებ სიცრუეს უწოდებს

6 კიევი ალექსანდრ დუგინის ქალიშვილის მკვლელობასთან კავშირს უარყოფს

# „ივანიშვილი დასავლეთთან ომს ვერ მოიგებს“

## კახა ქემოკლიძე: „ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს არც ოპოზიცია ასრულებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? „ქართული ოცნება“ კვლავ აქტიურად აგრძელებს თავდასხმას დასავლეთზე. ეს ივანიშვილის დაკვეთაა თუ რა პროცესი აქვს წამოწყებული „ქართულ ოცნებას“?***

– „ქართულ ოცნებას“, დღეის მოცემულობით, ორი მიზანი აქვს – ერთი, რომ შექმნას ფიქტიური პროცესი, თითქოს ის მუშაობს ამ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე და შემდეგ მოსახლეობას შესთავაზოს, რომ მთელი ზაფხული იმუშავეს, ხოლო მეორე ხელით მთლიანად ამ პროცესს ძირი გამოუთხაროს.

***– რით გამოიხატება ეს?***

– ამის ნათელი დადასტურება იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც, მაგალითად, კვირის ბოლოს მიიღეს და რომელზეც მყისიერად გამოეხმაურნენ საერთაშორისო პარტნიორები. ეს არის საარჩევნო პროცესებში ყველაზე გამოცდილი ორგანიზაციის არდაშვება ერთ-ერთ სამუშაო პლატფორმაზე. ამ 12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია, რომ ეს უნდა იყოს დიდ კონსენსუსზე, დიდ შეთანხმებაზე დაფუძნებული პროცესი. იმის ნაცვლად, რომ „ქართული ოცნება“ აქეთ ეპატიჟებოდეს მათ შორის ოპოზიციას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა ექსპერტს, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ის პირიქით მოქმედებს. ეს კი არის ძალიან მკაფიო ინდიკატორი იმისა, რომ ამ ადამიანებს, უბრალოდ, არ უნდათ ამ რეკომენდაციების შესრულება. მათ კარგად იციან, რომ ამ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება ხელისუფლებას შეუზღუდავს ან სრულიად დააკარგვინებს.

***– ფიქრობთ, რომ ამ 12 პუნქტიდან არაფერს არ შეასრულებენ?***

– ისინი თუ რამეს შეასრულებენ, შეასრულებენ მხოლოდ ზედაპირულ, უმნიშვნელო შინაარსობრივ დეტალებს, ხოლო საკვანძო საკითხებს, რომლებმაც გამოიწვია ამ 12 პუნქტის გაჩენა, რომლებიც შეეხება ოლიგარქიას, სისტემურ ტრანსფორმაციას, რეფორმებს, არაფერსაც არ შეასრულებენ. ამის ილუზია ნამდვილად არ მაქვს.

***– დასავლეთიდან ყოველდღიურად ვისმენთ მოწოდებებს, რომ ხელისუფლება, ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი – ყველა თანაბრად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში, თუმცა ამაზე მეტი დაქსაქსულობა წარმოუდგენელიც კია. რამდენად აზიანებს ოპოზიციის განზე დგომა ამ პროცესს? სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციისთვის გადაბრალების საშუალება მიეცემა და ისევ შეაწმენდს ხელს მას. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– ოპოზიციის ნაწილი, დღეის მოცემულობით, დაკავებულია საკუთარი იარაღით საკუთარ ფეხში სროლით. მათ ვერ გამოიტანეს დასკვნა 19 აპრილის შემდეგ მომხდარიდან. თუ დასავლეთი საბოლოოდ შენ მხარეს არ დადგა, როდესაც ვერდიქტი მოვა ამ 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით, როდესაც ევროკომისიამ თავისი დასკვნა უნდა დადოს და თუ იქ ერთი წინადადებაც კი ეწერა, რომ ამ პროცესში სწორად არ იმუშავა ოპოზიციამ, ეს „ქართულ ოცნებას“ აძლევს პატარა, მაგრამ მათთვის სასურველ დივიდენდს, რომ ამ პრობლემისგან განზე გადგეს. პროცესები 19 აპრილის შეთანხმებასთან დაკავშირებით 100%-ით ამ სცენარით განვითარდა.

დღეს ოპოზიცია ზუსტად იმავე შეცდომას უშვებს, რომელიც მაშინ დაუშვა. მე არა მაქვს ილუზია, რომ „ქართული ოცნება“ განწყობილია ამ 12 პუნქტის შესასრულებლად. არამცდაარამც! ჩვენ „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ეს ყველაფერი, როდესაც არ შესრულდება მათი მიზანმიმართული პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვას დააბრალონ.



**„ქართულ ოცნებას“ არანაირი რესურსი არ შერჩა ცვლილებებისთვის, არც იმისთვის, რომ ევროპული მომავალი შემოგვთავაზოს. ამიტომ, გადამწყვეტი მომენტი რომ დადგება, დარწმუნებული ვარ, ქუჩაში „ოცნების“ ელექტორატიც გამოვა“**

***– საბოტაჟს მოვუწყობთ ხელისუფლებასო და მსგავსი მუქარებით ოპოზიციის ნაწილი თითქოს ზურგს უმაგრებს ხელისუფლებას – ასეთი განცდაც გაჩნდა საზოგადოებაში.***

– თითქოს კი არა, 100%-ით ზურგს უმაგრებენ ხელისუფლებას. ისინი ვერ გრძნობენ საზოგადოების განწყობას. დღეს ხალხის განწყობა არ არის მომართული რევოლუციური სცენარისკენ, განა იმიტომ, რომ რევოლუცია ცუდია.

***– ალბათ ხელისუფლების ალტერნატივასაც ვერ ხედავენ, ახალს ვერაფერს სთავაზობენ.***

– დიახ, ოპოზიციის ნაწილი ახალს ვერაფერს სთავაზობს და, ამავდროულად, იმავე შეცდომებს უშვებს, რომლებიც დაუშვა. „ქართული ოცნება“ კი ამ შეცდომებს სათავისოდ გამოიყენებს. ნებისმიერი განცხადება ამ საბოტაჟზე, დაუმორჩილებლობასა და ძალისმიერ აქტივებზე, ჩათვალეთ, რომ პირდაპირ და ირიბად ქართული ოცნებისთვის“ გადაგდებული მაშველი რგოლია.

***– როდესაც ოპოზიციის დიდი ნაწილი ცხელ შემოდგომას გვიანონსებს, არის საზოგადოებაში მზაობა ამისთვის? გამოვა ხალხი ქუჩაში?***

– ჩემი ანალიზით, ქართველი საზოგადოება ძალიან ნიჰილისტურადაა განწყობილი ამ პროცესებთან დაკავშირებით და ამას თავისი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზები აქვს.

***– ხალხი გამოვიდა 20 ივნისს, თანაც – ძალიან ბევრი, მაგრამ ეს აქტიურობა და ხალხის ნება სათანადოდ არ იქნა გამოყენებულიო.***

– როდესაც რაღაც კულმინაციური მომენტისთვის საზოგადოება ჩათვლის საჭიროდ, ის პოლიტიკურ სპექტრს არც შეხედავს, არც არასამთავრობოსა და არც სამთავრობოს, ისინი ავტომატურად, ბუნებრივად რეფლექსირებენ იმ მოთხოვნაზე, რომელიც საზოგადოებაში ჩნდება. ასეთი ბოლო წლების განმავლობაში ორი იყო. ერთი 2019 წლის 20 ივნისს, როდესაც ობიექტურად გაბრაზებული საზოგადოება გამოვიდა რუსთაველზე და მეორეც – წლევანდელი 20-21 ივნისი, როდესაც საზოგადოება გამოვიდა იმ კონკრეტული პრობლემის გამო, რომელიც მკაფიოდ დაინახა მთავრობაში. ეს ის საზოგადოება იყო, რომლის ნაწილს ბოლო არჩევნებზე 41 ჰქონდა შემოხაზული. „ქართულ ოცნებას“ არანაირი რესურსი არ შერჩა ცვლილებებისთვის, არც იმისთვის, რომ ევროპული მომავალი შემოგვთავაზოს. ამიტომ, გადამწყვეტი მომენტი როცა დადგება, დარწმუნებული ვარ, „ოცნების“ ელექტორატიც გამოვა ქუჩაში.

***– ფიქრობთ, რომ შემოდგომაზე ამის მზაობა იქნება საზოგადოებაში?***

– ოპოზიცია რასაც აანონსებს, რომელსაც შემდეგ დიდწილად ვერ ასრულებს, სწორედ ეს აძლიერებს ხელისუფლებას და ნიჰილიზმს აღრმავებს საზოგადოებაში. რაღაცას რომ იტყვი, შემდეგ ის უნდა შეასრულო, ხოლო თუ ვერ ასრულებ, მაშინ ნუღარ ამბობ ამას. უნარი უნდა გქონდეს და სოციალურ პულსაციას უნდა გრძნობდე. დღეის მოცემულობით, მე კონკრეტულს ვერაფერს ვერ ვიტყვი. ერთს ვიტყვი, როდესაც ზამბარა იჭიმება და იმდენად იჭიმება, რომ შეუძლებელია დაჭიმულობის ხარისხის შენარჩუნება, ის სხლტება ან ტყდება და შემდეგ უკვე ტკივილის ეფექტი ძალიან დიდია.

„ქართულ ოცნებას“ ეგ ეშლება. მათ იმდენად ამოწურეს რესურსი საკუთარ თავში, რომ ეს ზამბარა გაიჭიმა და სხვა გზა აღარაა, ან უნდა გატყდეს, ან უნდა გასხლტეს. ორივე შემთხვევაში ტკივილის ეფექტი ძალიან დიდი იქნება.

***– 2024-მდე ასეთი მოჭიმული ზამბარით ალბათ ვერ მივალთ, ანუ პროცესები დაჩქარდება?***

– ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული ევროკომისიის შეფასებებსა და დასკვნებზე. დღეის მოცემულობით, „ოცნება“ განიცდის ელექტორალურ რღვევას. 2024-ში სრულიად სხვა მოცემულობით შევალთ და, საბოლოო რეზულტატი როგორ დაჯდება, ეს ჯერ არავინ არ იცის.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ივანიშვილი დაასწრებს ოპოზიციას და გაუშვებს სააკაშვილს სამკურნალოდ, რითაც მოიგებს დასავლეთის გულს, ასევე, შეცვლის პრემიერს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორ ნაბიჯებს გადადგამს ივანიშვილი?***

– არა მგონია, ბატონმა ივანიშვილმა სწორი ნაბიჯები გადადგას. რატომღაც ვფიქრობ, რომ ის ნაბიჯები, რომლებიც მან ბოლო ორ წელიწადში გადადგა, ადასტურებს, რომ ის ძალიან ღრმა და არასწორ ანალიზშია. ეს რითია განპირობებული, სხვა განხილვის თემაა, თუმცა იმაში, რომ ივანიშვილი შეცდომებს უშვებს, 100%-ით ვარ დარწმუნებული. აი, ამ ზამბარის დაჭიმვის ავტორი „ქართული ოცნება“ კი არ არის, არის სწორედაც ბატონი ივანიშვილი. ამიტომ ამ ტკივილის ეფექტი შესაძლოა ამ ადამიანმაც მიიღოს. დღეის მოცემულობით, ის შევიდა ისეთ სისტემურ დაპირისპირებაში დასავლეთთან, რომელი ომიც არავის არ მოუგია, თანაც იმ დროს გამოუცხადა ომი დასავლეთს, როდესაც რუსეთი კრიტიკულად დაზიანებული და დასუსტებულია. როდესაც ნორმალური, ცივილიზებული სამყარო მდინარის ერთ მხარეს აღმოჩნდა, ბატონმა ივანიშვილმა, საკუთარი ცრუ ანალიზითა და ანალიტიკაში დაშვებული შეცდომებით საქართველო ნაპირის აქეთა მხარეს დატოვა. ეს კი ის ომია, რომელსაც ივანიშვილი ვერ მოიგებს. ამას რაც მალე გააცნობიერებს, მისთვისვე იქნება უკეთესი.

# „რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგის წახალისებაა“ — პაპუაშვილი პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე

შალვა პაპუაშვილი აცხადებს, რომ გიორგი კალანდარიშვილის ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატად არდასახელება პოლიტიკური გადაწყვეტილება და „რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგის წახალისებაა“.



შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა 5 აგვისტოს პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარისა და ერთი წევრის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატურები წარუდგინა. ზურაბიშვილმა კანდიდატად არ დაასახელა ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა კალანდარიშვილი პრეზიდენტის მიერ პარლამენტისადმი გაგზავნილ სიაში არ მოხვდა.

პაპუაშვილის თქმით, კალანდარიშვილი კვალიფიციური, მიუკერძოებელი საჯარო მოხელეა და მისი კანდიდატურის ჩაგდება ოპოზიციის სურვილი იყო.

პაპუაშვილი აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებით კეთილსინდისიერი და პროფესიონალი საჯარო მოხელის დისკრედიტაცია მოხდა, რაც, მისი თქმით, სამწუხაროა.

– სამწუხაროა, მოქმედი თავმჯდომარე, ისე, რომ ამის დასაბუთება საგნობრივი არ მომხდარა, არ იქნა წარმოდგენილი და დასაბუთება იყო პოლიტიკური, რომ თითქოს იქიდან გამომდინარე, რომ კვალიფიციური უმრავლესობა ვერ მოიპოვა ორჯერ, ვთქვათ, ნაკლები შანსი შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს, ჩემი აზრით, არის ოპოზიციის რადიკალური დღის წესრიგის წახალისება. სწორედ ამაზე ვსაუბრობდით ჩვენ და ვიმეორებ მე ხშირად, როცა ვსაუბრობ კოალიციური უმრავლესობის პრაქტიკის ხარვეზებზე, რომ კოალიციური უმრავლესობა ახალისებს საბოლოო ჯამში ოპოზიციის რადიკალურ დღის წესრიგს.

ამ გადაწყვეტილებით რადიკალური ოპოზიციის წახალისება არ არის სწორი და მეორე, ამ გადაწყვეტილებით, ანუ მოქმედი თავმჯდომარის არ წარმოდგენით, რომლის კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის და მათ შორის მიუკერძოებლობის მიმართაც ვერავინ ვერც ერთი არგუმენტი ვერ წარმოადგინა, უბრალოდ პოლიტიკურ პოზიციას აფიქსირებდა ოპოზიცია და ამ კანდიდატის ჩაგდებას ცდილობდა. და მისი არ წარმოდგენით, ამ პროფესიული ნიშნით გამორჩეული ადამიანის, ეს გახლავთ, ზოგადად კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი საჯარო მოხელეების დისკრედიტაცია. აქედან გამომდინარე მე ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, რომ არ იქნა წარმოდგენილი კვალიფიციური კანდიდატი, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

❖ ❖ ❖

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარისა და ერთი წევრის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატურები 5 აგვისტოს წარუდგინა. ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე პარლამენტს ასარჩევად წარედგინა თამარ ალფაიძისა და რევაზ ეგაძის კანდიდატურები, ხოლო ცესკოს წევრის ერთ თანამდებობაზე – ქრისტინე ქაჯაიასა და ლევან ისაკაძის კანდიდატურები.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა არ დაასახელა ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა კალანდარიშვილი პრეზიდენტის მიერ პარლამენტისადმი გაგზავნილ სიაში არ მოხვდა.

წარდგენიდან მალევე „ფორმულა“ გიორგი კალანდარიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კი განმარტა, რომ მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი იმიტომ არ მოხვდა პარლამენტისადმი წარდგენილ ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურების სიაში, რომ მისი კანდიდატურა 2-ჯერ უკვე წარედგინა პარლამენტს ასარჩევად, თუმცა მან საჭირო ხმების რაოდენობა ვერ მოიპოვა.

# ნინო დოლიძე: „რეალური საკითხებისგან თემის გადატანა ხდება — არ ვიცი, რა ულტიმატუმზეა საუბარი“

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) აღმასრულებელი დირექტორის ნინო დოლიძის განცხადებით, მათ ორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია.

როგორც დოლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის უცნობია, რა ულტიმატუმზეა საუბარი.




– რეალური საკითხებისგან თემის გადატანა ხდება და კიდევ არის ასეთი დისკუსია, ვინ უნდა იყოს ჩართული და ვინ – არა. რაც შეეხება უშუალოდ „სამართლიან არჩევნებთან“ დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, არაერთხელ ვთქვი და ახლაც ვიტყვი, რომ ეს იყო დისკრიმინაციული, არ ვიცი, რა ულტიმატუმთან დაკავშირებით არის საუბარი. ჩვენ, სამოქალაქო ორგანიზაციები, ერთად ვიდექით ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის.

რაც შეეხება მთავრობის ფორმირებაში „სამართლიანი არჩევნების“ მონაწილეობას, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან „სამართლიან არჩევნებს“ არასდროს უთქვამს, რომ მთავრობის ფორმირებაში რაიმე სახით მონაწილეობის სურვილი გააჩნია, – განაცხადა დოლიძემ.

შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ISFED-მა საზოგადოებას უნდა გასცეს პასუხი კვლავ აყენებენ ულტიმატუმს, რომ ჰქონდეთ ვეტოს უფლება, გადამწყვეტი ხმა მთავრობის დაკომპლექტებაში, თუ ხსნიან თავიანთ მოთხოვნებს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „როდესაც მოკავშირეს ასე საჯაროდ აკრიტიკებ, საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები იწყება“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ორგანიზებული ანტიდასავლური კამპანია გამძაფრდა. ანტიდასავლურ ფრონტზე „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გამოსული მხოლოდ ოთხი დეპუტატი არ ლიდერობს.

საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ხალხის ძალაში“ გაერთიანებული ოთხი დეპუტატი – სუბარი, ხუნდაძე, მაჭარაშვილი და ყაველაშვილი ანტიდასავლური შეტევების თავიანთ წილ ფუნქციას ბეჯითად ასრულებენ.

შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად ჩანს, რომ დეპუტატთა კვარტეტი საქართველოში ფართოდ გაშლილი დასავლეთის საწინააღმდეგო ფრონტის ერთი რგოლია. დასავლეთს უტევს სხვადასხვა ჯგუფი და პირი. ამ რიტორიკას არანაირად არ ეწინააღმდეგება „ქართული ოცნება“. ანტიდასავლურ პროპაგანდაში ჩართული არიან ასევე ცნობილი არაპარტიული ადამიანები და ტროლინგში შემჩნეული ხალხისთვის უცნობი აქტივისტები „ქართული ოცნების“ გარემოცვიდან.

დასავლეთის კამპანია კვარტეტის შეკვრით არ დაწყებულა. აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს (ზოგ შემთხვევაში, ევროკავშირის ელჩსაც) კრიტიკული ეპისტოლეები მანამდეც (უკრაინის ომამდე ბევრად ადრეც) გაუგზავნა სხვადასხვა ადამიანმა. მათ შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები ხელოვნებისა და პოლიტიკის სფეროებიდან. ამდენად, „საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა გინდათ“ ბრალდება უცნაურად გამოიყურება. ასევე დაუსაბუთებელია ბრალდებები ელჩის მიმართ ოპოზიციურ პარტიებთან ალიანსში. იერიში მხოლოდ კელი დეგნანზე არ მიმდინარეობს. დასავლეთის მოწინააღმდეგეები ნეგატიურად მოიხსენიებენ „მიშელის შეთანხმებას“, ევროკავშირის ლიდერების მონაწილეობას თანხმობის პროცესში.

საქართველოში მიმდინარე პროცესები რაღაცით ჰგავს რუსეთში შექმნილ სიტუაციას. უკრაინელი ანალიტიკოსების დასკვნით, რუსეთის პოლიტიკაში ახლა კარგ ტონად ითვლება გადაჭარბებული უხეშობა, ანტიდასავლურობა და „ურაპატრიოტიზმი“. სამივე ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება.

### ანტიდასავლური კამპანიის მონაწილეები აშშ-ის ელჩის საქმიანობის დასასრულზე ალაპარაკდნენ

ბოლო დღეებში ანტიდასავლელები ელჩს „გავრილოვის ღამის“ ტერმინის გამოყენების გამო უტევენ. მათი აზრით, ამ სიტყვების ხსენებით ამერიკის ელჩი იმეორებს ქართული ოპოზიციის ნარატივს და ეწინააღმდეგება სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას, რომელმაც 20 ივნისის მოვლენები სხვანაირად შეაფასა.

კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა დასავლეთის ელჩებს უხსნის, როგორ უნდა მოიქცნენ. ხაინდრავას აზრით, კელი დეგნანის საქმიანობა საქართველოში სრულდება.

**გოგა ხაინდრავა:**

– ელჩებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი საქმიანობა ქვეყანაში უპირველესად არის ამა თუ იმ საკითხის ახსნა, ურთიერთობის დალაგება, ტრადიციების შესწავლა და არავითარ შემთხვევაში ჭკუის სწავლება და ფსევდოიდეალების დამკვიდრება, რითაც გამოირჩევა აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი. საერთოდ, ცუდად დაგვებედა სახელი „კელი“. იან კელი იყო ამერიკის ელჩი საქართველოში და მსგავსი სამარცხვინო ელჩი, მგონი, არცერთ ქვეყანას საქართველოში არ ჰყოლია. დღეს მოწმენი ვართ, თუ როგორ აგრძელებს ის თავის პოლიტიკურ-კორუფციულ საქმიანობას ნაცმოძრაობასთან. მისი განცხადებები ამის დამადასტურებელია. იან კელის განცხადებები იმასაც ადასტურებს, რომ ის მოაშორეს დიპლომატიურ საქმიანობას და დღეს კერძო საქმით არის დაკავებული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი მისია ზუსტად ისეთი კრახით დამთავრდა, როგორიც დეგნანის საქმიანობა საქართველოში. ჩემი აზრით, ბოლო განცხადებების შემდეგ ადამიანი (კელი დეგნანი), რომელიც თავს დიპლომატად თვლის, ამ ქვეყანაში არ დარჩება. მას ტერმინი „გავრილოვის ღამე“ პირდაპირ ლიაკა ხოშტარიასგან აქვს აღებული, პირისაგან, რომელიც დღესაც რუსული ფულით ფინანსდება.



საქართველოში მოძლიერებულ ანტიდასავლურ კამპანიას „ამერიკის ხმასთან“ აფასებს ენდიაის ყოფილი დირექტორი საქართველოში ლორა თორნტონი.

მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა „უნდა გადაწყვიტონ, რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის – ძალაუფლების შენარჩუნება და ბიძინა ივანიშვილის დაცვა თუ დასავლური ორიენტაციის მიზნები და დემოკრატია“.

**ლორა თორნტონი:**

– ეს აღმაშფოთებელი და დამაზიანებელია საქართველოსთვის. ამერიკა კარგად იქნება, მაგრამ საქართველო – არა. ეს ყველაფერი დიდი ხანია, გრძელდება. ევროკავშირის ელჩის, ევროპარლამენტარების, ამერიკის მისამართით კრიტიკა მოდიოდა ირაკლი კობახიძისა და სხვებისაგან. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა გააკრიტიკო ისინი, ვისთან ყოფნასაც აპირებ. თუ თეორიულად შენი საგარეო პოლიტიკის მიზანია, რომ იყო ნატოსა და ევროკავშირის წევრი, რატომ კბენ იმავე ხელს, რომელიც გკვებავს? ეს არაფერში არ ჯდება. ვერ ვხვდები, ამას რატომ აკეთებენ. სწორედ ამიტომ ხალხი მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავრობას არ სურს, იყოს ნატოს, ევროკავშირის წევრი.



ლორა თორნტონს უჩნდება განცდა, რომ ანტიდასავლური კამპანია საგარეო კურსის შეცვლის გამო მიმდინარეობს:

– როდესაც ასეთ მოკავშირეს (აშშ-ს) ასე საჯაროდ აკრიტიკებ, ვიწყებ ფიქრს, რომ საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები იწყება. მინდა მჯეროდეს, რომ ხელისუფლებას ისევ აქვს პროდასავლური ღირებულებები, თუმცა ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, საპირისპიროზე მიუთითებს.

ლორა თორნტონის აზრით, თუ დასავლეთის წინააღმდეგ შეტევებს საქართველოს ნეიტრალური, მიუმხრობლობის სტატუსიც მოჰყვება, ეს ძალიან შემაშფოთებელი იქნება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო-სომხეთის 160 მეტრი სიგრძის 4-ზოლიანი ხიდი რეგიონში უნიკალური პროექტია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრაზე საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები მიმოიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ლოგისტიკისა და კულტურის სფეროში. ხაზი გაესვა არსებული მჭიდრო პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნიკოლ ფაშინიანს ერევანში მომხდარი ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა.

❖ ❖ ❖

– ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა იზომება მრავალი საუკუნით. ჩვენი ურთიერთობა არა მხოლოდ ძმობის და მეგობრობის მაგალითია, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა მთლიანად რეგიონის კეთილდღეობის, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის. მეგობრობის ხიდი, რომელიც ერთად ავაშენეთ ჩვენი თანამშრომლობისა და მეგობრობის წარმატებას განასახიერებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო-სომხეთის საზღვართან, მდინარე დებედაზე, ახალი საავტომობილო ხიდის ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი საავტომობილო ხიდი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან ერთად გახსნა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ 160 მეტრი სიგრძის 4-ზოლიანი ხიდი რეგიონში უნიკალური პროექტია.

– ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე ერთობლივად აშენებული, თანამედროვე სტანდარტებისა და პარამეტრების, 160 მეტრი სიგრძის 4-ზოლიანი ხიდი რეგიონში უნიკალური პროექტია. მისი ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად ორმაგდება საზღვარზე ტრანსპორტის გამტარობა. უმჯობესდება საგზაო უსაფრთხოების ხარისხი როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის, ისე სატრანზიტო ავტოტრანსპორტისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერებას, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ხიდი არა მხოლოდ სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის იქნება სასარგებლო, არამედ იგი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, რომლის მხრიდანაც ხიდის მშენებლობისთვის 7 მლნ ევროზე მეტი გამოიყო.

– მინდა აღვნიშნო, რომ ხიდი არა მხოლოდ სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის იქნება სასარგებლო, არამედ იგი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დღეს ჩვენს ქვეყანაში საგზაო დერეფნის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, უკვე აშენებული გვაქვს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის ნახევარი, ხოლო სულ რაღაც 2 წელიწადში მისი ყველა ძირითადი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდება.

ასეთი მასშტაბური პროექტების კონტექსტში კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რა თქმა უნდა, გამშვები პუნქტების თანამედროვე სტანდარტების ხიდის ფუნქციონირებაც და კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ორი მეგობარი ქვეყნის თანამშრომლობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადგომა, მინდა, მადლობა გადავუხადო ბანკის წარმომადგენელს. ამ პროექტისთვის გამოიყო დაახლოებით 7 მლნ ევროზე მეტი, – აცხადებს ღარიბაშვილი.

ახალი საავტომობილო ხიდის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას აგრეთვე სიტყვით მიმართა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა.

მისივე თქმით, საქართველოს, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას, დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთისთვის ენერგორესურსების, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციების საიმედო და უსაფრთხო მიწოდების მხრივ.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, მდინარე დებედაზე, ახალი, ე.წ. მეგობრობის ხიდი საქართველომ და სომხეთის რესპუბლიკამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით, ერთობლივად ააშენეს. ხიდის მშენებლობისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ორ ქვეყანას, ჯამში 7.4 მილიონ



ევრომდე გამოუყო. ერთობლივი ხიდი რეგიონში უნიკალური ტრანსსასაზღვრო პროექტია, რადგან ხიდის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ნაწილი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ახალი, თანამედროვე სტანდარტებისა და პარამეტრების ხიდის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გაუმჯობესდება საგზაო უსაფრთხოების ხარისხი როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეებისა და სტუმრებისათვის, ისე სატრანზიტო ავტოტრანსპორტისთვის. ძველ ხიდთან შედარებით, ორმაგდება ახალი ხიდის გამტარობა, რაც ეფექტური სასაზღვრო და საბაჟო მომსახურების პირობებში, მნიშვნელოვნად გაზრდის ორ მეზობელ ქვეყანას შორის როგორც სატვირთო მიმოსვლას, ისე ტურისტების გადაადგილებას და ხელს შეუწყობს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას.

ღონისძიებას საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოფიციალური გახსნის ცერემონიალის შემდეგ, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ახალი საავტომობილო ხიდი დაათვალიერეს.

# აშშ მოსკოვს ალექსეი ნავალნის დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებს



რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის მკვლელობის მცდელობიდან ორი წლისთავზე შეერთებული შტატები მოსკოვს მისი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

– ჩვენ კიდევ ერთხელ ვგმობთ რუსეთის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას პოლიტიკური ოპონენტის მოსაწამლად და მოვუწოდებთ კრემლს, სრულად გამოაცხადოს და გააუქმოს მისი ქიმიური იარაღის პროგრამა. ჩვენ ასევე ვუერთდებით ნავალნის ოჯახს, კოლეგებსა და მხარდამჭერებს მთელ მსოფლიოში და მოვუწოდებთ მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა.

კრემლის კრიტიკოსის მოწამვლიდან ორი წლისთავს გამოეხმაურა გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლციც.

– ის ძლივს გადაურჩა მკვლელობას. მან შეძლო გერმანიაში გამოჯანმრთელება, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა გამოქვეყნებულ ვიდეომიმართვაში, სადაც მან სამშობლოში დაბრუნებისთვის რუსი დისიდენტის სიმამაცე შეაქო.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ომს პუტინის წასვლის შემდეგ ვერავინ გააგრძელებს“

## „კიდევ რამდენიმე ასეთი დარტყმა და ყირიმი დაცარიელდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**უკრაინის ფრონტზე მიმდინარე ძვრებსა და სხვა მოვლენებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა პოლიტოლოგი ოლეგ სოსკინი.**

***– რას შეცვლის აფეთქებები ყირიმში? რა მნიშვნელობა აქვს მათ?***

– ეს იყო დარტყმა მთავარ საავიაციო ბაზაზე ყირიმში, რის შედეგადაც განადგურდა, სულ ცოტა, 9 რუსული სამხედრო თვითმფრინავი. აფეთქებები ნოვოფრიოდოროვკის აეროდრომზე შემთხვევითი არ ყოფილა. ეს არის უკრაინასა და რუსეთს შორის შეჯახების ეტაპის დასაწყისი. ამიერიდან ყირიმის ნახევარკუნძული დარტყმის საშიშროების წინაშეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ოკუპანტები ყირიმში მშვიდად ველარ დაიძინებენ. რუსეთს მოუწევს თავისი საბრძოლო რესურსების, მათ შორის, საბრძოლო თვითმფრინავების, საწყობების გადაადგილება.

***– გადმოვა ომი ყირიმში?***

– ომი ყირიმში უკვე გადმოვიდა. ადგილობრივები ჰყვებიან, რომ აფეთქებების შედეგად სახლების სახურავები ჩამოინგრა, ხალხი დაშავდა. მაშინვე გაჩნდა ნახევარკუნძულის დატოვების მსურველების რიგები ყირიმის ხიდთან. კიდევ რამდენიმე ასეთი დარტყმა და ყირიმი პრაქტიკულად გაუკაცრიელდება.

***– როგორი რეაგირება ექნება რუსეთს?***



***რუსეთი ხომ ყირიმს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.***

– ისეთივე რეაგირება ექნება, როგორიც ყველაფერ დანარჩენზე, მათ შორის, კრეისერ „მოსკოვის“ ჩაძირვაზე. რუსეთი უფრო მეტად დაბომბავს უკრაინის ქალაქებს. ომი გაძლიერდება და გაფართოვდება. ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ რუსეთი ვერსად აღწევს ხელშესახებ შედეგს: ვერც ხერსონის, ვერც ზაპოროჟიესა და ვერც ხარკოვის ოლქებში. რუსეთს ამ მომენტში, ერთადერთი, შეუძლია, საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია და დარტყმა კიევზე ბელარუსის ტერიტორიიდან. თუ რუსეთი კიევს ან ლვოვს დაარტყამს, პასუხად მიიღებს დარტყმას ბელარუსზე (გომელზე), ასევე თავის საზღვრისპირა ქალაქებზე – ბელგოროდზე, ბრიანსკზე, კურსკზე. ესე იგი, ომი შევა რუსეთის ტერიტორიაზე. უკრაინის ჯარი შეუტევს გომელსა და რუსეთის ფედერაციის საზღვრისპირა ქალაქებს.

***– ხელსაყრელია კი უკრაინისათვის ახლა საბრძოლო მოქმედებების გადატანა რუსეთში?***

– ამ შემთხვევაში ჩაებმებიან სხვა სახელმწიფოები და ეს იქნება ევრაზიული ომი. ჩაერთვებიან პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, ფინეთი, შვედეთი, გერმანია, აშშ. ამიტომ საჭიროა პუტინის მოკავშირეების გაფრთხილება, რომ თუ რუსეთი ამასა თუ იმას გაბედავს, ამას მოჰყვება ეს და ის. ჩვენ ეს უკვე შეგვიძლია, რაც ყირიმში გამოჩნდა.

***– საუბრობთ შესაძლო დარტყმებზე კიევსა და ლვოვზე. სარაკეტო დარტყმები იქაც საკმარისი იყო. რა სახის დარტყმები უნდა მოაწყოს რუსეთმა, რომ ამას მასშტაბური რეაქცია მოჰყვეს სხვა სახელმწიფოების მხრიდან?***

– დარტყმები გადაწყვეტილებების მიმღებ ცენტრებზე.

***– ყირიმის ხიდის დანგრევას თუ აქვს აზრი?***

– რასაკვირველია, აქვს. საყრდენი არ აფეთქდება, ხიდი რჩება, მაგრამ მასზე ვერ იმგზავრებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ვერ შეიტანს ტექნიკასა და რესურსებს.

***– თქვენი აზრით, ყირიმის საკითხი როდის გადაწყდება?***

– ეს მოხდება უახლოეს პერსპექტივაში. ზამთარი მოდის. ზამთარში შესვლა ოკუპირებული სამხრეთით არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში იქ მოხდება უმძლავრესი ბრძოლა. მარჯვენა სანაპირო უნდა გათავისუფლდეს.

***– ხერსონის გათავისუფლება როგორ გესახებათ?***

– მარჯვენა ნაწილი ოქტომბრამდე უნდა გათავისუფლდეს. სიცივეში ამის გაჭიანურება შეუძლებელია.

***– დააჩქარებს თუ არა უკრაინის გამარჯვებას პუტინის წასვლა ცხოვრებიდან ან ხელისუფლებიდან?***

– პუტინი უკვე ძალიან არის დაუძლურებული. კრემლის „ქორების“ სამი ჯგუფიც რომ გაერთიანდეს, საბრძოლო მოქმედებები მაინც დასრულდება. შოიგუ და კადიროვი გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ, სხვა ფიგურები კი მაშინვე დაიწყებენ საშუალების ძიებას მოსალაპარაკებლად. რუსეთსა და ბელარუსს დიდი ფინანსური კოლაფსი ელოდებათ. რუსეთს დარჩა გაზისა და ნავთობის სფეროები. იზოლაციაში მყოფი ქვეყანა დანგრეული საბანკო-საფინანსო სისტემით მხოლოდ გაზისა და ნავთობის ხარჯზე ვერ იცხოვრებს. რუსეთი უახლოვდება იმ მომენტს, როცა შესაძლებელია პუტინის მოშორება. პუტინი გადაიქცა რეალურ საფრთხედ კრემლის ყველა კოშკისათვის. გამონაკლისია, ალბათ, კადიროვი. პუტინმა ყველას თავი მოაბეზრა. ყველას კრახი ელოდება. მოსალოდნელია რუსული – სასტიკი, სისხლიანი ბუნტი. ბუნტი რუსეთში მწიფდება.

# უკრაინის ვიცეპრემიერი: „უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თითქმის 70% შეასრულა“

უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თითქმის 70% შეასრულა და იცის ევროკავშირში გაწევრიანების ყველა სამართლებრივი პროცედურის საჭიროების შესახებ. ამავდროულად, უკრაინის ხელისუფლებას სურს, პოლიტიკური სიცხადე მიიღოს ევროკავშირის ლიდერებისგან წლის ბოლომდე ამ გზაზე შემდეგი ნაბიჯების თაობაზე. ამის შესახებ უკრაინის ვიცეპრემიერმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ოლჰა სტეფანიშინამ საკომუნიკაციო კამპანიის გახსნისას განაცხადა, რომლის სახელწოდებაა „ერთად ჩვენ ვართ ევროპა“.

– უნდა გავიგოთ, რამდენად გრძელი და რთული იქნება ჩვენი გზა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ და არა მხოლოდ მოლაპარაკების თვალსაზრისით. ჩვენ ნამდვილად დაგვჭირდება ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი კომპონენტების დასრულება. ამის ენერგია და სურვილი გვაქვს. ერთადერთი, რაც გვაკლია, არის პოლიტიკური სიცხადე მომდევნო ნაბიჯებთან დაკავშირებით, – განაცხადა სტეფანიშინამ.

ამ კონტექსტში მან გაიხსენა ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვები, რომ ევროინტეგრაციის პროცესი რჩება მთავარი მოტივატორი საზოგადოებისთვის, რომელიც აერთიანებს უკრაინელების 90%-ზე მეტს, ასევე, ის, რომ ეს აძლევს ენერგიას ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ახლა უკრაინის ევროპული მომავლისთვის რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე არიან.



– არ გვინდა, რომ ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი იყოს ბიუროკრატიული. რა თქმა უნდა, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, მაქსიმალურად ვავლენთ ჩვენს შესაძლებლობებს, გავიაროთ ყველა აუცილებელი სამართლებრივი პროცედურა, რომლებიც დაკავშირებულია წევრობასთან, მაგრამ არ გვინდა, პოლიტიკოსებმა, ევროკავშირის ლიდერებმა ეს პროცესი ბიუროკრატიაში გადაიყვანონ. თუ გავითვალისწინებთ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას უკრაინა და იმ ფაქტს, რომ აშკარაა უკრაინელი ხალხისა და უკრაინის ერთგულება დემოკრატიის პრინციპებისადმი, ასევე იმას, რომ ჩვენ თითქმის 70%-ით შევასრულეთ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვჭირდება ნულიდან შეფასება, არამედ თქვენ უნდა მიიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებები. გვინდა, რომ ასეთი პოლიტიკური სიცხადე წლის ბოლომდე მივიღოთ, – განაცხადა ვიცეპრემიერმა.

მისი თქმით, უკრაინის მხრიდან ასეთი პოლიტიკური სიცხადის სურვილი არის „არა პოლიტიკური ზეწოლა, არამედ ხალხისთვის შემდგომი პოლიტიკური საქმიანობის მნიშვნელობის მინიჭება“.

# ეკონომიკა

## საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტი 2.4-ჯერ გაიზარდა

მსუბუქი ავტომობილებს რეექსპორტი კვლავ იზრდება. ექსპორტის მაჩვენებელი მიმდინარე წლის ივლისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2.4-ჯერ გაიზარდა. თუ 2021 წლის ივლისში ქვეყნიდან 42,9 მლნ აშშ დოლარის 5,946 ერთეული ავტომობილი გავიდა, მიმდინარე წელს 101,4 მლნ აშშ დოლარის 9,172 ერთეული მსუბუქი ავტომობილი გაიყიდა.

მონაცემები გაზრდილია პანდემიამდელ 2019 წელთან შედარებითაც, როცა საქართველოდან 60,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა.

**„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ 10 ქვეყნის ჩამონათვალს, სადაც საქართველომ ივლისში ყველაზე მეტი ავტომობილი გადაყიდა:**

აზერბაიჯანი – 30.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 2,652 ერთეული;
სომხეთი – 18 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 1,449 ერთეული;
უკრაინა – 28.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 2,815 ერთეული;
რუსეთი – 8.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 580 ერთეული;
ყაზახეთი – 4.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 486 ერთეული;
ყირგიზეთი – 4.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 773 ერთეული;
ბელგია – 1.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 55 ერთეული;
ბელარუსი – 1.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 44 ერთეული;
ტაჯიკეთი – 1.1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 224 ერთეული;
გერმანია – 870 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 14 ერთეული;



აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში საქართველოდან 370.8 მლნ აშშ დოლარის ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა და სასაქონლო ჯგუფებს შორის 12%-ით მეორე ადგილი დაიკავა.

## მსოფლიოში ბამბა ძვირდება. რა მოცულობის პროდუქტს ყიდულობს საქართველო და სად



მსოფლიოში ბამბა 30%-ით უკვე გაძვირდა. როგორც Bloomberg-ი წერს, ამის მიზეზი მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნებში ძლიერი გვალვები და სიცხეებია, რამაც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოება 27-30%-ით შეამცირა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ, თუ სად და რა რაოდენობით ბამბას ყიდულობს საქართველო. საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-ივლისში ქვეყანაში იმპორტირებული იქნა 6,424 მლნ დოლარის ღირებულების (574,8 ტონა) ბამბა (ბამბა საფეიქრო მასალებისაგან, საფეიქრო ბოჭკოები სიგრძით არაუმეტეს 5 მმ-ისა), ეს კი 1,4 მლნ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, 2021 წელს საქართველომ 483,7 ტონა ბამბა იყიდა, ჯამში 5,010 მლნ დოლარის ღირებულების.

აღსანიშნავია, რომ წელს საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ბამბის იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან – 2,805 მლნ დოლარის ღირებულების (186,5 ტონა); მეორე ადგილზეა თურქეთი – 2,752 მლნ დოლარი (271,1 ტონა); ხუთეულში შედიან: არაბთა გაერთიანებული საამიროები – 268,7 ათასი დოლარი (19,5 ტონა); ჩინეთი – 152,2 ათასი დოლარი (26,9 ტონა) და საბერძნეთი – 100,6 ათასი დოლარი (15 ტონა).

## ბათუმის აგრარულ ბაზარში 2.5 ტონა „საეჭვოდ მიჩნეული“ ხორცი დაილუქა

სურსათის ეროვნული სააგენტოს როტაციის პრინციპით დაკომპლექტებულმა ინსპექტირების ჯგუფებმა ბათუმის აგრარული ბაზარი შეამოწმეს. ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

როგორც სააგენტო განმარტავს, სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ხორცის სარეალიზაციო ობიექტებში, სადაც შემოწმდა ხორცის შენახვისა და რეალიზაციის პირობები.



ობიექტების ნაწილი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა, ზოგ მათგანში გამოვლინდა ისეთი სახის შეუსაბამობები, როგორიცაა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, ხორცის რეალიზაცია ვეტერინარული ნიშანდების გარეშე, რაც ნიშნავს, რომ პირუტყვი სასაკლაოს გვერდის ავლით არის დაკლული; ტანხორცის არასათანადო დანაწევრება, როცა არ იყო მოცილებული ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მაღალი რისკის პათოგენური მასალა.

სურსათის ეროვნული სააგენტო განმარტავს, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამართალდამცავების ჩართულობით, გაატარა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები – დაილუქა და განადგურდა 2,5 ტონა საეჭვოდ მიჩნეული ხორცი, ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი.

სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ბაზარში ჩატარდა დასუფთავებისა და რეცხვა-დეზინფიცირების სამუშაოები.

– ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად აქტიურებს ხორცისა და ხორცპროდუქტების კონტროლს როგორც სასაკლაოებზე, ასევე ხორცის სარეალიზაციო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, – აცხადებს სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე.

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში შემოწმდა 800-მდე ობიექტი, მათ შორის, სასაკლაოები და ხორცის სარეალიზაციო ობიექტები. დაილუქა 10.000 კგ-მდე ხორცი.

## 1-ლი აგვისტოდან უკრაინის პორტებიდან 25-მა გემმა 625 ათას ტონაზე მეტი საკვები გამოიტანა

– უკრაინის პორტებიდან მარცვლეულის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის ურთიერთგაგების ინიციატივის განხორციელების ფარგლებში, 2022 წლის 1-ლი აგვისტოდან უკრაინის პორტები დატოვა 25-მა მშრალი ტვირთის გემმა (მათ შორის 18 დაბლოკილი), 625 050 ტონა საკვებით. მათ შორის ექსპორტირებულია 487 463 ტონა სიმინდი, 50 301 ტონა ფქვილი, 11 000 ტონა სოიო, 13 250 ტონა მზესუმზირის ზეთი, 41 622 ტონა ხორბალი, 2 914 ტონა მზესუმზირა, – ამის შესახებ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე რუსეთის ეროვნული თავდაცვის კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა მიხეილ მიზინცევმა განაცხადა.

22 ივლისს სტამბოლში, გაეროს, რუსეთის, თურქეთისა და უკრაინის მონაწილეობით, ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს უკრაინის ტერიტორიის სამი პორტიდან – ჩერნომორსკიდან, ოდესიდან და იუჟნიდან მარცვლეულის ექსპორტისთვის დერეფნის შექმნის შესახებ.

პირველმა გემმა, რომელიც დატვირთული იყო 26.000 ტონა სიმინდით, ოდესა 1-ელ აგვისტოს დატოვა.

# „ბალგალკით“ გავალე ორივე სეიფი“ — რომელი სკოლის დირექტორი ფიგურირებს რადიოაქტიური ნივთიერებების საქმეში

ცნობილია იმ პირის ვინაობა, რომელმაც რადიოაქტიური ნივთიერება მოიპოვა, შემდეგ კი 2 სხვა პირთან ერთად მისი გასაღება ცადა.

სოფელ ბადიაურში ამოღებული 8 კონტეინერიდან 7-ში თხევადი ნივთიერება იყო. ბრალდებულის სახლის სიახლოვეს, მისივე კუთვნილ ტერიტორიაზე, თივის ზვინის ქვეშ ერთ ცალ კოლბაში გლიცერინი ინახებოდა, რომელიც ტოქსიკური ნივთიერება არ არის, მაგრამ სიცოცხლისთვის სახიფათო აღმოჩნდა ამოღებული 5 კონტეინერი, რომელშიც თხევადი ალფა-ბეტა გამოსხივების რადიოაქტიური ნივთიერება ინახებოდა.

ბრალდებული ინახავდა კიდევ 2 კონტეინერს, რომელშიც განთავსებული იყო გამა გამოსხივების მქონე სითხე. „კურიერის“ მიერ მოპოვებულ ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ნივთიერებებთან უშუალო ხანგრძლივი კონტაქტი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ექსპერტიზის იმ დასკვნაში, რომელიც „კურიერმა“ მოიპოვა, არაფერია ნათქვამი ზღვის უბანში ამოღებული სხვადასხვა ნივთიერების შესახებ. „კურიერმა“ გაარკვია, რომ კახეთში რადიოაქტიური ნივთიერებები ლამბალოს სკოლის დირექტორმა თბილისიდან ჩაიტანა. მას ნივთიერება ზურაბ გოდაძემ გადასცა. სწორედ გოდაძეა მამაკაცი, რომელმაც 2012 წელს დიღომში, ჯართის ბაზრობაზე 2 ჩაკეტილი სეიფი იყიდა, სახლში გახსნის შემდეგ კი 10 სხვადასხვა მომწამლავი ნივთიერება აღმოაჩინა.

„ბალგალკით“ გავალე ორივე სეიფი. ერთი სეიფი ცარიელი იყო, ხოლო მეორეში ჩემთვის უცნობი შხამიანი, მომწამვლელი ნივთიერებები აღმოვაჩინე. კერძოდ აღმოვაჩინე 1 ცალი თუნუქის კოლოფი, 1 ცალი შპრიცი, 1 ცალი კოლბა მასში მოთავსებული უცხო სითხით, 5 ცალი ცილინდრული ფორმის საგანი და სხვა. მე მათი თვისობრიობის შესახებ მივხვდი ყუთებზე დატანილი წარწერებით. ... მომწამლავი ნივთიერებები შენახული მქონდა გარკვეული პერიოდი.

...ვვარაუდობდი, რომ ის ნივთიერებები იყო ძვირადღირებული, რადგან წარწერები ჰქონდა რუსულ ენაზე და ეწერა C14, რაც, ჩემი წარმოდგენით, საშიშ ნივთიერებად ითვლებოდა, – აღნიშნავს ზურა გოდაძე ჩვენებაში.




გოდაძე ამ გამოკითხვის შემდეგ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით კლინიკაში გადაიყვანეს. მისი საცხოვრებელი სახლიდან, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია სხვადასხვა სახის ნივთიერებები. „კურიერმა“ გაარკვია, რომ გოდაძე, ნაპოვნი მავნე ნივთიერებების შესახებ მხოლოდ 2020 წელს ალაპარაკდა და მეგობარს, ლამბალოს სკოლის დირექტორს რადიაციული ნივთიერებების გაყიდვა შესთავაზა. დავით როსტომაშვილი შეთავაზებას დათანხმდა და კლიენტების პოვნა თანასოფლელ თამაზ გურგენიშვილს დაავალა.

– ჩამოვედი თბილისში ზურაბ გოდაძის სახლში. გოდაძემ გადმომცა ერთი ცალი გამჭვირვალე კოლბა, რომელშიც ესხა გამჭვირვალე სითხე, ასევე, ხუთი, ან ექვსი ცალი შავი ფერის მცირე ზომის ბოჩკის ფორმის საგანი, რომელშიც არ ვიცი რა ნივთიერება იყო მოთავსებული. ზურამ მითხრა, რომ ზემოთხსენებულ საგანში მოთავსებული იყო ძვირადღირებული მომწამლავი ნივთიერებები და მითხრა რომ მათი ღირებულება დაახლოებით 700.000 დოლარს შეადგენს, – ამბობს დავით როსტომაშვილი ჩვენებაში.

პირველწყარომ როსტომაშვილს მომწამლავი ნივთიერების საფასური 700 ათასი დოლარი უთხრა. იგივე ფასი დაასახელა სკოლის დირექტორმა გურგენიშვილთან, მაგრამ მყიდველი მანამ ვერ იპოვეს, ვიდრე საქმეში კიდევ ერთი პირი, ბესარიონ ალულიშვილი არ ჩაერთო. მან თანასოფლელებს ადამიანისთვის საშიში და მომწამლავი ნივთიერების გაყიდვა არა 700 ათას, არამედ 1 მილიონ 500 ათასად შესთავაზა.

– ბესო ალულიშვილმა მითხრა, რომ შეეცდებოდა მოეძებნა ისეთი კლიენტი, რომელიც ხსენებულ ნივთიერებაში „ციანიდში“ გადაიხდიდა გაცილებით მეტს, დაახლოებით 1.500.000 აშშ დოლარს, რათა რეალიზაციის შედეგად მიგველო მეტი სარგებელი, – აღნიშნავს ჩვენებაში დავით როსტომაშვილი.

ბესარიონ ალულიშვილმა მომხმარებელი მართლაც იპოვა. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ოკტაი ბაირამოვი ვირთხის საწამლავს ეძებდა, რაშიც მას ახლა უკვე ბრალდებულებმა ჯერ ციანიდი შესთავაზეს, შემდეგ კი ფასი მილიონ 200 ათასი დოლარი უთხრეს. მომხმარებელმა ფაქტი საეჭვოდ მიიჩნია, ნივთიერებებს ვიდეო და ფოტო სურათები გადაუღო, შემდეგ კი პოლიციას მიმართა. მამაკაცის განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო. ყველა დაკავებული ბრალს აღიარებს, მაგრამ უარყოფენ, რომ რადიოაქტიურ ნივთიერებას ყიდდნენ. სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ გამოძიება კიდევ ერთი მიმართულებით მუშაობს, რომლის მიხედვითაც, დაკავებულებიდან ერთ-ერთი ან მასთან დაახლოებული პირი, ფიროსმანისვე დახატულ ფიროსმანის შედევრის ასლს ინახავს და მის გაყიდვას გეგმავს. სოფელში ნიკო ფიროსმანის ტილოს შესახებ არავინ არაფერი იცის.

# შსს გავრცელებულ ინფორმაციას პოლიციელების მიერ უწყების მასობრივად დატოვების შესახებ სიცრუეს უწოდებს




შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი სიცრუეს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სამინისტროს პოლიციელები მასობრივად ტოვებენ. როგორც შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, თანამშრომელთა წასვლა და ახალი თანამშრომლების მიღება ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ასევე, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია ახალი კადრების მიღების მიზნით სამინისტროს ვებგვერდზე გამოცხადებული ვაკანსიები.

– გვსურს გამოვეხმაუროთ მედიასაშუალებების მიერ ბოლო დღეებში გავრცელებულ ცრუ ინფორმაციებს, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს პოლიციელები მასობრივად ტოვებენ, რასაც უკავშირდება უწყების მიერ გამოცხადებული კონკურსები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს, საზოგადოების სიცრუეში შეყვანის მცდელობის საპასუხოდ, არაერთხელ განუმარტავს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი უწყებაა, სადაც 40.000-მდე ადამიანი მუშაობს. შესაბამისად, თანამშრომელთა წასვლა და ახალი თანამშრომლების მიღება ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ასევე, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია ახალი კადრების მიღების მიზნით სამინისტროს ვებგვერდზე გამოცხადებული ვაკანსიები, შესაბამისი კონკურსების ღიად და გამჭვირვალედ წარმართვა.

რაც შეეხება მიმდინარე წლის 17 აგვისტოს, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თბილისსა და რეგიონებში 145 სხვადასხვა ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსს, იგი განპირობებულია ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტში მგზავრთა და ტრანსპორტის ნაკადის გაზრდით, ასევე, რეგიონებში საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდით.

პანდემიის პერიოდში არსებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში პირთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილება მანამდე არსებულ რეჟიმს დაუბრუნდა და ამ ეტაპზე საგრძნობი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა.

გარდა ამისა, გაფართოვდა ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები, დამატებულია ავიამიმართულებები და მკვეთრად გაზრდილია ავიარეისების რაოდენობა. გაზრდილი ნაკადების უკეთ მართვის მიზნით, რამდენიმე სახმელეთო გამშვები პუნქტის ინფრასტრუქტურა გადაკეთდა. შესაბამისად, კვალიფიციური კადრის მოძიების მიზნით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და სიტუაციის შეფასების შედეგად, გამუდმებით ხდება საპატრულო პოლიციის საშტატო განრიგის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში საშტატო ერთეულების გაზრდა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, დაკისრებული ფუნქციებისა და საზოგადოების უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების უზრუნველყოფის, ასევე, მგზავრთა ნაკადების ეფექტიანად მართვის პრინციპით, რეგულარულად ახორციელებს და მომავალშიც განაგრძობს საშტატო განრიგის ზრდას.

აქვე გვსურს, გამოვეხმაუროთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების მხრიდან სატელევიზიო ეთერში ან მედიაგამოცემებში უწყების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები არ არის იშვიათი, როდესაც საზღვარგარეთ წასული მოქალაქეები არღვევენ კანონს და უცხო ქვეყანაში ცხოვრების ლეგალური უფლების მოპოვების მიზნით, მსგავს მორალურად მიუღებელ ფორმებს მიმართავენ.

მედიასაშუალებები, ისე, რომ არ ამოწმებენ ინფორმაციას ბრალდების ადრესატ მხარესთან, დაუბალანსებელ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას აწვდიან საკუთარ მაყურებელსა და მკითხველს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მსგავსი ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელება ემსახურება ქვეყანაში ნიჰილიზმის გაღვივებას, მაყურებელში პოლიციის საქმიანობის მიმართ მიზანმიმართულად ნეგატიური განწყობების შექმნასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციას, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

## პატიმარმა ბადრაგს იარაღი წაართვა და თვითმკვლელობა ცადა

გლდანის ციხის პატიმარმა ბადრაგს იარაღი წაართვა და თვითმკვლელობა ცადა. ბრალდებული ახლა კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოშია მოთავსებული.

28 წლის კაცს გამჭოლი ჭრილობები თავის არეში აქვს მიყენებული.

ექიმებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ.

კავკასიის მედიცინის ცენტრთან შეკრებილი არიან გურამ სვანიძის ოჯახის წევრებიც, რომლებიც პრეტენზიებს პენიტენციარულ დაწესებულებასა და ფსიქიატრიულს უყენებენ.

სუიციდის მცდელობა იმ დროს მოხდა, როცა ბრალდებულს ფსიქიატრიული დაწესებულებიდან სასჯელაღასრულების დაწესებულებაში აბრუნებდნენ.

## დაჭრილი პატიმრის დედა: „სახალხოდ თქვან, რით მკურნალობენ, რა მდგომარეობაში მიიღეს, როგორ გრძელდება მკურნალობა“

– არავის ნდობა არ მაქვს, ყველაფერი არის ძალიან, ძალიან მოგონილი, სიცრუე და ყველაფერი არის ზღაპარი, დადგმული სცენარი, – ამის შესახებ დაჭრილი პატიმრის გურამ სვანიძის დედამ, ნათია შენგელიამ, ჟურნალისტებს განუცხადა.

გავრცელებული ინფორმაციით, დაჭრილი პატიმრის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

– სახალხოდ თქვან, რით მკურნალობენ, რა სჭირს ბავშვს, რა მდგომარეობაში მიიღეს, როგორ გრძელდება მკურნალობა, კონსილიუმი თუ შედგა, შედგა თუ არა საერთოდ, რა გადაწყვიტეს... როგორ არის ბავშვი გამაგებინონ. ახლა მე გვერდზე გამიყვანონ, რაღაც მითხრან, დაბნეულ დედას შეიძლება რაღაც გამომრჩეს. არავის ნდობა არ მაქვს, ყველაფერი არის ძალიან, ძალიან მოგონილი, სიცრუე და ყველაფერი არის ზღაპარი, დადგმული სცენარი, – აცხადებს ნათია შენგელია.

ამასთან, გურამ სვანიძის ბიძის განცხადებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მათ მომხდარის შესახებ არასრული ვიდეომასალა აჩვენეს, რაც მომხდარის შესახებ ზუსტი აღქმის საშუალებას არ იძლევა.

შეგახსენებთ, რომ დაჭრილი პატიმრის ოჯახის ინფორმაციით, კლინიკაში მოთავსებულ პატიმარს თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება. როგორც ჟურნალისტებს პატიმრის დედამ განუცხადა, პატიმრობაში მყოფი მისი შვილი გლდანის ციხიდან თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაიყვანეს, თუმცა გუშინ განუცხადეს, რომ მის შვილს თავში ჭრილობა აღენიშნება.

ამასთან, საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, აღებულია შემდგომი კვლევისათვის საჭირო ნიმუშები, მიმდინარეობს სამართალდამცავების გამოკითხვა, ასევე მოპოვებულია გამოძიების მიერ ინციდენტის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები.

გამოძიების ინფორმაციით, პატიმარი უკნიდან მიეპარა პენიტენციარული სამსახურის თანამშრომელს, ამოაცალა იარაღი, გაისროლა და შემდეგ თავის არეში მიიყენა დაზიანება.

## პროკურორის ინფორმაციით, ლაშა ნაკაიძის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი შურისძიებაა



ნათია ნოზაძე

პროკურორ ნათია ნოზაძის განცხადებით, გაუპატიურებაში, ძალადობასა და სიცოცხლის მოსპობის მუქარაში ბრალდებული „მთავარი არხის“ ყოფილი წამყვანი ლაშა ნაკაიძე დანაშაულს არ აღიარებს.

მისივე თქმით, სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ გირაოს შეფარდების მოთხოვნა დააყენა, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

„სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად გაიზიარა ის გარემოება, რომ არსებობდა ბრალდებულის მხრიდან, პირველ რიგში, მოწმეებზე, მათ შორის, დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე და ასევე დანაშაულის სიმძიმიდან, ხასიათიდან გამომდინარე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე“, – განაცხადა ნათია ნოზაძემ.

მისივე თქმით, დაზარალებულს დაზიანებებთან დაკავშირებით შესაბამისი სამედიცინო ექსპერტიზა უტარდება.

– დაზარალებულთან დაკავშირებით დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა და ყველა იმ დაზიანებასთან დაკავშირებით, რაც დაზარალებულს სხეულზე აღენიშნება, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ყველა ის დაზიანება, რაც შესაძლოა დაზარალებულს სხეულზე ჰქონდეს, იქნება ეს მოტეხილობა, სილურჯე თუ ა.შ. – აღნიშნა პროკურორმა.

ნათია ნოზაძის თქმით, დანაშაულის ჩადენის მოტივი შურისძიებაა.

– საქმეში არის წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, ნივთიერი მტკიცებულებები და ა.შ. მიმდინარეობს გამოძიება და ასევე, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება ხდება, მათ შორის იქნება ეს ფოტომასალა თუ ა.შ. – განაცხადა პროკურორმა.

შეგახსენებთ, „მთავარი არხის“ ყოფილ წამყვანს, ლაშა ნაკაიძეს, რომელსაც ბრალად გაუპატიურება, ძალადობა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა ედება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სხდომა დახურულ რეჟიმში წარიმართა. შემდეგი სასამართლო სხდომა 10 ოქტომბერს ჩაინიშნა.

## შსს-მ ონის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი საბრძოლო მასალის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ონის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი საბრძოლო მასალის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების განმარტებით, მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ირში, საოკუპაციო ხაზთან, უკანონოდ აღმართულ ლითონის ორ ცალ ბოძზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, საბრძოლო მასალა „F-1“ ტიპის მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობა – ხელყუმბარა.

შსს-ს ცნობით, პოლიციის მიერ დაუყოვნებლივ დაიწყო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

– გამოძიების პროცესში, გამნაღმველების მონაწილეობით მოხდა, „F-1“ ტიპის მსგავსი, ე.წ. სტრაიგ ბოლის სასწავლო-ხმოვანი, პლასტიკური კორპუსის მქონე ხელყუმბარების ამოღება, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, გამნაღმველების მიერ ადგილზევე იქნა განადგურებული, – აღნიშნულია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ინდოეთში ძლიერმა წვიმებმა და მეწყერმა, სულ მცირე, 50 ადამიანი იმსხვერპლა



ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ინდოეთში ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეულმა წყალდიდობამ და მეწყერმა, სულ მცირე, 50 ადამიანი იმსხვერპლა.

სტიქიამ ასობით სოფელი დააზარალა, სახლები გაანადგურა, მოსახლეობის ნაწილი ჩარჩენილია, არიან დაკარგულებიც.

მედიის ცნობით, სამაშველო ეკიპაჟები გადარჩენილების ევაკუაციას ცდილობენ.

# უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე დაახლოებით 45.200 რუსი სამხედროა ლიკვიდირებული



უკრაინულმა ძალებმა 24 თებერვლიდან დღემდე დაახლოებით 45.200 რუსი სამხედროს ლიკვიდაცია განახორციელეს.

ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს: 1.912 ტანკი, 4.224 ჯავშანტექნიკა, 1.028 ერთეული საარტილერიო სისტემა, 266 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, 141 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა, 234 საბრძოლო თვითმფრინავი, 197 ვერტმფრენი, 806 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 3143 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 99 ერთეული სპეცტექნიკა და 190 ფრთოსანი რაკეტა.

# რუსეთში ალექსანდრ დუგინის შვილის ავტომობილი ააფეთქეს. დარია დუგინა გარდაიცვალა



რუსეთში ალექსანდრ დუგინის შვილის ავტომობილი ააფეთქეს, რის შედეგადაც დარია დუგინა გარდაიცვალა.

ფილოსოფოს ალექსანდრ დუგინის ქალიშვილი, დარია დუგინა, ავტომობილის აფეთქების შედეგად დაიღუპა. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, შემთხვევა მოსკოვის ოლქში მოხდა.

ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სეპარატისტი მმართველის დენის პუშლინის განცხადებით, ინციდენტში „უკრაინის რეჟიმის ტერორისტები“ მონაწილეობდნენ და მათი სამიზნე გოგონას მამა იყო.

– უკრაინის რეჟიმის ტერორისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ ალექსანდრე დუგინის ლიკვიდაციას, მისი ქალიშვილი ავტომობილში ააფეთქეს, – წერს პუშლინი „ტელეგრამზე“.

ზოგიერთი მედიასაშუალების ცნობით, მამა-შვილი შაბათს საღამოს ღონისძიებიდან შინ ერთი ავტომობილით უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ალექსანდრ დუგინმა ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა და სხვა ავტომობილში ჩაჯდა.

BBC-ი წერს, რომ ალექსანდრ დუგინი ულტრანაციონალისტი იდეოლოგია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტთან დაახლოებულ პირად ითვლება. მას „პუტინის ტვინსაც“ უწოდებენ. თავად დარია დუგინა კი საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის პოლიტიკური დამკვირვებელი იყო, რომელსაც მამამისი ხელმძღვანელობს.

მოპოვებული მონაცემების გათვალისწინებით, გამოძიება მიიჩნევს, რომ დანაშაული, რომელმაც ჟურნალისტი და პოლიტოლოგი დარია დუგინა იმსხვერპლა, წინასწარ იყო შეკვეთილი და დაგეგმილი. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტში განაცხადეს.

– ამ დროისთვის უკვე დადგინდა, რომ მძღოლის მხარეს, მანქანის ძირზე ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩადებული. დარია დუგინა, რომელიც ავტომანქანას მართავდა, ადგილზე გარდაიცვალა, – აცხადებენ კომიტეტში.

შემთხვევის ადგილზე მუშაობას აგრძელებენ საგამოძიებო კომიტეტის კრიმინალისტიკის მთავარი სამმართველოს გამომძიებლები და სპეციალისტები.

# კიევი ალექსანდრ დუგინის ქალიშვილის მკვლელობასთან კავშირს უარყოფს



გასულ ღამეს მოსკოვის რეგიონში მომხდარ აფეთქებაზე, რა დროსაც რუსი ფილოსოფოსის, „რუსული სამყაროს“ იდეოლოგის ალექსანდრ დუგინის ქალიშვილი დაიღუპა, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კომენტარი გააკეთა.

– ხაზს ვუსვამ, რომ უკრაინა, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია ამ საქმესთან, რადგან ჩვენ არ ვართ კრიმინალური სახელმწიფო, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია, და მით უმეტეს – ტერორისტული სახელმწიფო, – განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა.

მისი აზრით, ეს მკვლელობა მოწმობს რუსეთის შიგნით ძალაუფლებისთვის ბრძოლასა და სხვადასხვა ჯგუფის გავლენაზე.

უკრაინის პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენელი პროგნოზირებს, რომ ამ ინციდენტს რუსეთის ხელისუფლება გამოიყენებს საკუთარ საზოგადოებაზე იდეოლოგიური და ინფორმაციული ზეწოლის გასაზრდელად, რათა გაიზარდოს უკრაინის მიმართ სიძულვილის ხარისხი, ასევე შიდა იდეოლოგიური სივრცის რადიკალიზაცია.

ზოგიერთი ცნობით, თავდასხმის სამიზნე, სავარაუდოდ, თავად დუგინი იყო, რომელმაც ბოლო მომენტში გადაწყვიტა, სხვა მანქანით წასულიყო და არა ქალიშვილთან ერთად საჭესთან დამჯდარიყო, როგორც ყოველთვის.

# რუსებმა ოდესის ოლქზე სარაკეტო იერიში მიიტანეს



რუსებმა ოდესის ოლქზე იერიში ხუთი რაკეტით მიიტანეს. პივდენის საჰაერო სარდლობის ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო ქვედანაყოფმა ზღვის თავზე ორი რუსული ფრთოსანი რაკეტის ჩამოგდება მოახერხა. იერიში დაახლოებით 03:00 საათზე განხორციელდა.

ინფორმაციას ოდესის სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენელი სერგი ბრაჩუკი „ტელეგრამზე“ ავრცელებს. მისივე თქმით, რუსებმა რაკეტები შავი ზღვიდან გაისროლეს.

კიდევ სამი ფრთოსანი რაკეტა ოდესის ოლქის ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ტერიტორიას მოხვდა. თავდასხმა მარცვლეულის შესანახ ობიექტზე განხორციელდა. მსხვერპლი არ ყოფილა.

# თურქეთში მომხდარი ავარიის შედეგად დაღუპულებს შორის 2 ჟურნალისტი, 3 მეხანძრე-მაშველი და 4 მედიკოსია

თურქეთში, გაზიანთეფის პროვინციაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულებს შორის 2 ჟურნალისტი, 3 მეხანძრე-მაშველი და 4 მედიკოსია. ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ერთმანეთს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, სახანძრო მანქანა და საინფორმაციო სააგენტო „იჰლასის“ ჟურნალისტების ავტომობილი შეეჯახა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა და 21 დაშავდა. იუსტიციის მინისტრმა ბექირ ბოზდაღმა განაცხადა, რომ ნიზიფის მთავარმა პროკურატურამ გაზიანთეფში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველოს ნაკრებმა მიჯრით 7 მატჩი წააგო




აკროპოლისის თასი საბერძნეთის დედაქალაქ ათენში იმართება და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, უკვე ტრადიციად ქცეული ტურნირია. ათენმა აკროპოლისის თასს 31-ედ უმასპინძლა და მასში საქართველოს, თურქეთის, პოლონეთისა და საბერძნეთის ნაკრებები მონაწილეობდნენ.

ეს ტურნირი საქართველოს ნაკრებმა 2017 წელს მოიგო და მაშინ უკან სერბეთის, საბერძნეთისა და იტალიის ნაკრებები მოიტოვა, წელს კი ყველა მატჩი წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა.

ილიას ზუროსის გუნდს აკროპოლისის თასზე მე-2 მატჩი მასპინძელ საბერძნეთთან ჰქონდა და 67:80 დამარცხდა. თავდაპირველად თამაში საკმაოდ დაძაბულად, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა ტურნირისა და ზოგადად მომავალი ევრობასკეტის ფავორიტ ბერძნებთან პირველ ნახევარში მშვენივრად ითამაშა.

პირველ მეოთხედში ქართველები 21:16 ლიდერობდნენ, მეორე პერიოდი მხოლოდ 2 ქულით, 16:18 დავთმეთ. მე-3 მეოთხედში, მსგავსად წინა შეხვედრისა, ბერძნებმა 12– ქულიანი გაქცევა მოაწყვეს და პერიოდი 10:22 მოიგეს. ბოლო მეოთხედი ქართველებმა 4 ქულით, 20:24 წააგეს და ბერძნებმა საბოლოოდ 13-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს.

ქართველებს შორის უნდა აღინიშნოს სანდრო მამუკელაშვილის თამაში, რომელმაც 21 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. 13-13 ქულა და 9-9 მოხსნაა თორნიკე შენგელიასა და გიორგი შერმადინის ანგარიშზე.

ბოლო მატჩში ქართველი კალათბურთელები პოლონეთის გუნდს დაუპირისპირდნენ. მსგავსად წინა თამაშებისა, ქართველები თამაშის პირველ ნახევარში ამჯერადაც ლიდერობდნენ და შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ მე-2 ტაიმში პოლონელებმა უპირატესობის მოპოვება მოახერხეს და 76:87 წავაგეთ.

პირველი მეოთხედი ქართველებმა 1 ქულით, 23:22 მოიგეს, მეორე პერიოდში კი ორივე გუნდმა 18-18 ქულა ჩააგდო და დიდ შესვენებაზე 1-ქულიანი უპირატესობით გავედით. მესამე მეოთხედი, მსგავსად წინა თამაშებისა, ჩვენი ნაკრებისთვის პრობლემატური იყო. მეტოქემ 13 უპასუხო ქულა ჩაგვიგდო და სოლიდური სხვაობით გაგვექცა. ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა მოინდომეს და ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს, თუმცა მიხალაკმა ისევ ჩააგდო 3-ქულიანები და პოლონელთა უპირატესობა ისევ 10 ქულას გადასცდა. დარჩენილ დროში სიტუაციის გამოსწორება ვეღარ შევძელით, მეოთხედი 3 ქულით, 17:20 დავთმეთ და პოლონელებმა საბოლოოდ 11-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს.

ქართველებს შორის უნდა აღინიშნოს თორნიკე შენგელიას თამაში, რომელმაც 27 ქულა, 6 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. 10 ქულა რატი ანდრონიკაშვილის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო სანდრო მამუკელაშვილმა შეხვედრა 9 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა.

საქართველოს ნაკრებს 24 აგვისტოს უკვე ოფიციალური მატჩი ელის, ამხანაგურებში კი მიჯრით 7 მატჩი აქვს წაგებული.

**ილიას ზუროსი:**

– აკროპოლისის თასი ახლახან დავასრულეთ. ჩვენთვის ეს იყო სავარჯიშო თამაშები. გუნდისთვის მთავარი ოფიციალური ტურნირებია. პირველ რიგში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და შემდეგ – ევრობასკეტი. ჩემი კალათბურთელების ბოლომდე მჯერა. მჯერა, რომ ერთად დიდ საქმეებს გავაკეთებთ. უბრალოდ, უნდა დავრჩეთ პოზიტიურ განწყობაზე. შესაძლოა, ცოტა მეტი უნდა ვიმუშაოთ მცირე დეტალებზე. მჯერა, რომ ტაქტიკურად ყოველდღიურად უკეთ გამოვიყურებით. ყველაფერი რთულად იყო, რადგან ამ პერიოდში ძალიან ბევრ ექსპერიმენტს მივმართეთ, ვცვალეთ ხუთეულები, ვითამაშეთ „მაღლებით“, „დაბლებით“, სხვადასხვა სახის დაცვით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მჯერა ჩვენი ნაკრების.

ახლა საქართველოში მივდივართ და 24-ში სავსე ტრიბუნებს ველით. წინასწარ მადლობა მხარდაჭერისთვის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# ძაღლებმა პატრონების მომგებიანი ლატარიის ბილეთი დაღეჭეს



ამერიკის ორეგონის შტატის მცხოვრებმა ოჯახურმა წყვილმა ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებს მათი ძაღლების მიერ დაღეჭილი ბილეთი წარუდგინა და მოგებული თანხა მიიღო.

ნეითენ და რეიჩელ ლემეტებმა სამდოლარიანი ლატარიის ბილეთი იყიდეს და სახლში დატოვეს. იქ მას მათმა ძაღლებმა – ეპლიმ და ჯეკმა მიაგნეს. პატრონების სახლში დაბრუნებამდე მათ მისი დაღეჭვა და დაფლეთა მოასწრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი ასეთ სავალალო მდგომარეობაში დახვდათ, წყვილმა მაინც გადაწყვიტა მისი შემოწმება. მათ ამის თავად გაკეთება ვერ შეძლეს და ამიტომ ბილეთის ნაკუწები ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებს გაუგზავნეს, რომელსაც თან დაურთეს ძაღლების ფოტოსურათი.

– ჩემმა ქმარმა ჩათვალა, რომ ეს თავშესაქცევი ამბავი იყო და ვინმეს გაამხიარულებდა და განწყობას აუმაღლებდა. ის ამბობდა, რომ ბილეთი ნამდვილად მომგებიანი იქნებოდა, – აღნიშნა რეიჩელმა.

წყვილის მოგებამ რვა დოლარი შეადგინა. მათი თქმით, ისინი ამ თანხით ძაღლებისთვის ისეთ სათამაშოებს შეიძენენ, რომელთა დაღეჭვაც მათ შეეძლებათ.

# განძისმაძიებლებმა 25 ძველი მონეტა იპოვეს



დიდი ბრიტანეთის მიდლენდის რეგიონში მოყვარულმა განძისმაძიებლებმა იპოვეს 25 ცალი ძველი მონეტა, რომელთა ფასი დაახლოებით 25 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

განძისმაძიებლებმა ფილიპ სუტორმა, პოლ ნეშმა და კევინ დევისმა ძველი მონეტები ლითონმაძიებლებით შეჯიბრების დროს აღმოაჩინეს. პირველ მონეტას სუტორმა მიაგნო, ახალბედამ, რომელიც ძველი ნივთების ძებნით სულ რაღაც წელიწად-ნახევრის წინ დაინტერესდა. მან ჩათვალა, რომ მის ნაპოვნ მონეტას ფასი არ ჰქონდა და გზა გააგრძელა.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ნეშმა შორიახლოს კიდევ ოთხი მონეტა იპოვა. მან უფრო გამოცდილ დევისს სთხოვა მათი შეფასება. დევისმა მაშინვე განსაზღვრა, რომ ეს ანგლოსაქსური მონეტები იყო და მათ ძებნის გაგრძელება შესთავაზა. ორი დღის განმავლობაში მაძიებლებმა მეფე ბურგრედის გამოსახულებიანი 25 მონეტა ამოთხარეს. მეფე ბურგრედი ანგლოსაქსონიურ სამეფო მერსიას 852-874 წლებში მართავდა.

ნაპოვნი მონეტების შემდგომ ბედს სახელმწიფო განსაზღვრავს. თუ მას განძად ჩათვლიან, მუზეუმი გამოისყიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის განძისმაძიებლების განკარგულებაში დარჩება.

# მოზარდმა მეგობარი ხუთმეტრიანი ზვიგენისგან გადაარჩინა



ავსტრალიაში მოზარდმა მოახერხა ოპერატიულად გაეწია მეგობრისთვის პირველადი დახმარება და ამის წყალობით ხუთმეტრიანი ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაღუპვას გადაარჩინა.

ინციდენტი ორშაბათს, 15 აგვისტოს მოხდა, დასავლეთ ავსტრალიის შტატის სანაპიროსთან, კუნძულ მისტეიკენის შორიახლოს. 17 წლის ლიუკ პასკო წყალქვეშ ნადირობით იყო დაკავებული მეგობარ კონერ შირლისთან ერთად. მოზარდმა დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეში ჰარპუნით თევზი მოინადირა და ნადავლით ზედაპირზე დაიწყო ამოსვლა, როდესაც მას დიდი თეთრი ზვიგენი დაესხა თავს.

მტაცებელი, რომელიც თევზის სისხლმა მიიზიდა, მოზარდისთვის ნადავლის წართმევას შეეცადა, მას ფეხში ჩააფრინდა და ხორცის ნაწილი მოაგლიჯა. პასკომ ნაპირამდე მიღწევა შეძლო, თუმცა დაზიანებული ფეხიდან ძლიერი სისხლდენა დაეწყო. შირლიმ მეგობარს დაჭრილ ფეხზე ქამარი გადაუჭირა სისხლდენის შესაჩერებლად, შემდეგ ზურგზე მოიგდო და ქვიან სანაპიროზე მანქანამდე ორი კილომეტრი ატარა. შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმებმა პასკოს ფეხზე ღრმა ჭრილობები დაუფიქსირეს. ამჟამად ის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მიქაუტაძე და ბარნლი — ბრიტანული მედია ტრანსფერს აანონსებს

თუ ბრიტანულ მედიას ვენდობით, დიდი შანსია, საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული მეცის შემტევი გიორგი მიქაუტაძე ინგლისის ჩემპიონშიფის ბინადარ ბარნლიში გადავიდეს.

როგორც ბრიტანული მედია წერს, მიქაუტაძის ტრანსფერით ბარნლის მთავარი მწვრთნელი ვინსენ კომპანია დაინტერესებული და, შესაძლოა, მიმდინარე ზაფხულს ბარნლის ბოლო შენაძენი 21 წლის ქართველი თავდამსხმელი გახდეს.

მედია იმასაც წერს, რომ ბარნლი მზადაა, მიქაუტაძის სანაცვლოდ მეცს 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს.

გიორგის ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 2025 წლამდე აკავშირებს და მიმდინარე სეზონი შესანიშნავად დაიწყო — ლიგა 2-ის ოთხ შეხვედრაში 2 გოლითა და 3 საგოლე პასით გამოირჩა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მიქაუტაძემ 2 სეზონი იჯარით ბელგიურ სერენში გაატარა და 2-ვე სეზონში გუნდის საუკეთესო გოლეადორი იყო. მისი გოლების დამსახურებით მოკრძალებულმა სერენმა ბელგიის ა დივიზიონის საგზურიც მოიპოვა.

რაც შეეხება ბარნლის, გუნდი პრემიერლიგიდან გასულ სეზონში გავარდა და მიმდინარე ჩემპიონშიფის 5 ტურში 6 ქულა მოიპოვა — 1 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება.

# შედეგები

## 20 აგვისტო

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| ტოტენჰემი-ვულვზი | 1:0 |
| კრ.პალასი-ასტონ ვილა | 3:1 |
| ლესტერი-საუთჰემპტონი | 1:2 |
| ფულემი-ბრენტფორდი | 3:2 |
| ევერტონი-ნოტინგემი | 1:1 |
| ბორნმუთი-არსენალი | 0:3 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| ბარნლი-ბლექპული | 3:3 |
| ბირმინგემი-უიგანი | 0:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-ჰალი | 5:2 |
| ქპრ-როტერჰემი | 1:1 |
| პრესტონი-უოტფორდი | 0:0 |
| რედინგი-მიდლსბრო | 1:0 |
| სტოკი-სანდერლენდი | 0:1 |
| სუონსი-ლუთონი | 0:2 |
| შეფილდი-ბლექბერნი | 3:0 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | |
| აუგსბურგი-მაინცი | 1:2 |
| ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 0:3 |
| დორტმუნდი-ვერდერი | 2:3 |
| ვოლფსბურგი-შალკე | 0:0 |
| შტუტგარტი-ფრაიბურგი | 0:1 |
| უნიონი-ლაიფციგი | 2:1 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| ზანდჰაუზენი-ნიურნბერგი | 1:2 |
| პადერბორნი-კილი | 7:2 |
| რეგენსბურგი-კარლსრუე | 0:6 |
| ბრაუნშვაიგი-ფორტუნა | 2:2 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | |
| ოსასუნა-კადისი | 2:0 |
| მალირკა-ბეტისი | 1:2 |
| სელტა-რეალი | 1:4 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ხიხონი-ანდორა | 4:1 |
| ალბასეტე-ბურგოსი | 0:0 |
| სარაგოსა-ლევანტე | 0:0 |
| გრანადა-რასინგი | 2:0 |
| **იტალია. სერია ა** | |
| ტორინო-ლაციო | 0:0 |
| უდინეზე-სალერნიტანა | 0:0 |
| ინტერი-სპეცია | 3:0 |
| სასუოლო-ლეჩე | 1:0 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ასკოლი-სპალი | 1:1 |
| ჯენოა-ბენევენტო | 0:0 |
| პერუჯა-პარმა | 0:0 |
| **საფრანგეთი. ლიგა 1** | |
| მონაკო-ლანსი | 1:4 |
| მარსელი-ნანტი | 2:1 |
| **საფრანგეთი. ლიგა 2** | |
| სტ.ეტიენი-ლე ავრი | 0:6 |
| ამიენი-ბასტია | 3:1 |
| ვალანსიენი-კევიი | 0:0 |
| დიჟონი-ნიმი | 2:1 |
| კაენი-გენგამი | 4:1 |
| ლავალი-მეცი | 3:3 |
| ნიორი-პარიზი | 2:1 |
| პო-სოშო | 0:3 |
| როდეზი-ანსი | 2:2 |
| **ნიდერლანდები. ეჰრედივიზიონი** | |
| ვიტესი-ჰერენვენი | 0:4 |
| სიტარდი-კამბური | 1:4 |
| ემენი-უტრეხტი | 3:2 |
| **პორტუგალია. პრიმეირა ლიგა** | |
| სანტა კლარა-აროუკა | 1:2 |
| შავიში-ვიზელა | 1:1 |
| პორტუ-სპორტინგი | 3:0 |
| **ბელგია. ა დივიზიონი** | |
| ოსტენდე-სტ.ტრუიდენი | 0:1 |
| გენკი-სერკლი | 2:1 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| ალტახი-ლუშტენაუ | 1:2 |
| ზალცბურგი-კლაგენფურტი | 2:0 |
| შტურმი-ლინცერი | 0:1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | |
| ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 2:2 |
| დ.იუნაიტედი-სტ.მირენი | 0:3 |
| მოზერველი-ლივინგსტონი | 1:0 |
| როსი-კილმანროკი | 1:0 |
| სტ.ჯონსონი-აბერდინი | 0:1 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | |
| გირესუნი-ქაშიმფაშა | 1:0 |
| ჰატაი-გაზიანთეპი | 1:2 |
| ანთალია-ტრაბზონი | 5:2 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | |
| ატრომიტოსი-ოფი | 3:1 |
| ლამია-აეკი | 0:3 |
| პაოკი-პანეთოლიკოსი | 1:0 |
| **ჩეხეთი. 1 ლიგა** | |
| ბანიკი-ტეპლიცე | 1:2 |
| ბოლესლავი-სპარტა | 1:3 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| პლოცკი-კორონა | 2:1 |
| სლასკი-კრაკოვია | 1:1 |
| ვარტა-ვიძევი | 0:1 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| მიდტიულანდი-ორხუსი | 0:2 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| ვარბერგი-დიურგარდენი | 2:2 |
| **ნორვეგია. ელიტსერია** | |
| ბოდო-ჰამკამი | 2:2 |
| ოდი-სარპსბორგი | 1:0 |

## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ბუდუ ზივზივაძე ხუთშაბათს ელოდება



საქართველოს ნაკრების შემტევი ბუდუ ზივზივაძე შესანიშნავ ფორმაშია და გოლი გოლზე გააქვს. და არამარტო უნგრეთის ჩემპიონატში — კონფერენს ლიგაზე ქართველს 6 გოლი და 1 საგოლე პასი აქვს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ კოსოვოელ რაჰმანს (7 გოლი) ჩამორჩება.

უნგრულმა მედიამ წერილი გამოაქვეყნა ზივზივაძეზე, რომელიც გერმანულ კიოლნთან კონფერენსლიგის ფლეი ოფის პირველი მატჩის გმირი გახდა — ჩვენებურის ფეჰერვარმა 2:1 მოიგო, ბუდუმ კი თავი გოლითა და საგოლე პასით გამოიჩინა.

— ფეთქებად ფორმაში მყოფი ბუდუ ზივზივაძე დიდებულმა ატმოსფერომ კიდევ უფრო დამუხტა. ფეჰერვარის ქართველი ბომბარდირის თქმით, ფერენცვაროსთან მარცხის შემდეგ მისმა გუნდმა საუკეთესო მომენტში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. შესაძლოა, კიოლნში ეს გამარჯვება კონფერენსლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის წინაპირობაც გახდეს...

ფეჰერვარმა „რაინ ენერგი შტადიონზე“ დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა. მართალია, მან გუნდური თამაში ანახა, მაგრამ მაინც გამოირჩეოდნენ პალკო დარდაი, რომელმაც გამარჯვების გოლი ზივზივაძის პასით გაიტანა და თავად ზივზივაძე — ქართველი ცენტრფორვარდი, რომელმაც დარდაის გოლამდე ანგარიში შესანიშნავი თავური დარტყმით გაათანაბრა.

მისი კარგი თამაში, შესაძლოა, გაცილებით ძვირი დაუჯდეს კიოლნს, რომელიც ევროთასებს 2018-19 წლების სეზონის შემდეგ დაუბრუნდა. ფეჰერვარს კი ჯგუფურ ეტაპამდე მხოლოდ საპასუხო მატჩი აშორებს. არადა, მატჩამდე წყვილის აუტსაიდერად თვლიდნენ...

დიახ, ქართველი თავდამსხმელი ფეთქებად ფორმაშია და ბევრი გააქვს. სეზონის დაწყებიდან 8 ოფიციალურ თამაშში 7 გოლი გაიტანა. კიოლნშიც თავის სტიქიაში იყო — ბურთის მიღებისას ყოველთვის რაღაც მოულოდნელს აკეთებდა.

არადა, შარშან ასე არ იყო და ფეჰერვარში ადგილი ვერ იპოვა, რის გამოც ზამთარში გუნდმა იჯარით უიპეშტში გაუშვა. აი, იქ აფეთქდა ზივზივაძე და შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა — ხარისხითაც და შედეგითაც. ახლა, როგორც ვხედავთ, მთავარი მწვრთნელის მიხეილ ბორისის ხელმძღვანელობით ისევე კაშკაშებს, როგორც გასულ სეზონში.

**ბუდუ ზივზივაძე:**

— კიოლნის სტადიონზე საოცარი ატმოსფერო იყო. გერმანელი „ულტრასტები“ მრავლად იყვნენ, მაგრამ ამან წამითაც არ შემაშინა, პირიქით, სიხარულით მავსებდა. ბავშვობაში ფეხბურთელობა სტადიონებზე ასეთი ატმოსფეროს გამო მინდოდა — 84.000 ადამიანის წინაშე თამაში და გოლის გატანა წარმოუდგენელი განცდა იყო!

ხუთშაბათის შეხვედრა სამუდამოდ დამამახსოვრდება. სასტვენის შემდეგ გასახდელში საგიჟეთი იყო, ვცეკვავდით, ვყვიროდით... მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამავდროულად, ჩვენში უზარმაზარი ენერგია გათავისუფლდა, რადგან ფერენცვაროშთან (0:4) მარცხის შემდეგ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი ვართ, რომლის ჩამოწერა არ შეიძლება. ეს გამარჯვება საუკეთესო დროს მოვიდა.

თამაშს ტაქტიკურად მომზადებულები შევხვდით, ერთსულოვნები ვიყავით. მომეწონა, რომ ყველა ერთმანეთისთვის იბრძოდა და ეხმარებოდა. არც მაშინ ვნერვიულობდი, როცა კიოლნი დაწინაურდა, რადგან ვიცოდი, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვქონდა.

გერმანელთა მცველის გაძევებამაც მოახდინა გავლენა შედეგზე, შანსი მოგვცა და ამით ვისარგებლეთ. მე-3 გოლის გატანაც გვინდოდა, მაგრამ მთავარი ამოცანა უპირატესობის შენარჩუნება იყო. ჭკვიანური ფეხბურთი უნდა გვეთამაშა, რადგან კაცნაკლული კიოლნი დაუნდობელი იქნებოდა და ისარგებლებდა ჩვენი შეცდომით...

ძალიან კარგ ფორმაში შევედი და, რაც ყველა მნიშვნელოვანია, კარგ ფიზიკურ კონდიციებშიც ვარ. ბოლო დროს გოლებიც გამაქვს, შემიძლია, გუნდს ჩემი თამაშით დავეხმარო და ეს ჩემს თავდაჯერებულობაზე კარგად მოქმედებს. ცხადია, კიოლნი შესანიშნავი გუნდია, ფეხბურთს ისეთი ინტენსივობით თამაშობს, როგორიც აქამდე იშვიათად მინახავს... ვფიქრობ, ხედავდით, რომ ბევრმა სირბილმა დიდი ძალა წამართვა და სადღაც 95-ე წუთზე ძალა გამომეცალა... მაგრამ გუნდისთვის ყველაფერი გავაკეთე...

მომავალი ხუთშაბათისთვის ისევ სრული ძალით ვიქნები, რაც ძალიან საჭირო იქნება, რადგან საპასუხო მატჩი გვპირდება, რომ კიდევ უფრო დაუნდობელი ბრძოლა იქნება თერთმეტკაციან კიოლნთან, რომელიც მოსაგებად ჩამოვა.

ჩვენი მეტოქე ცუდ ვითარებაშია და ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა ნამდვილად მჯერა, რომ ჯგუფურ ეტაპზე გასვლა შეგვიძლია და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. კარგი იქნებოდა, ფეჰერვარი უკვე ჯგუფში იყოს, მაგრამ წინ ჯერ მეორე მატჩია, რისთვისაც უნდა მოვემზადოთ...

ჩვენ მეტოქეზე მეტს დავისვენებთ, რადგან კიოლნი ფრანკფურტში აინტრახტთან ითამაშებს და ბუნდესლიგის მატჩი მათ ნამდვილად ბევრ ენერგიას წაართმევს. თუმცა, ხუთშაბათის თამაში არ იქნება ტკბილი. ფაქტობრივად, ეს გამოწვევაა უპირატესობის შესანარჩუნებლად — თუ მოედანზე ორგანიზებულად და თავდაუზოგავად ვითამაშებთ და ტაქტიკურ დავალებებს შევასრულებთ, ისევე, როგორც კიოლნში, შეიძლება, შანსი რეალობად ვაქციოთ.

# წყალბურთელთა ნაკრები ევროპისთვის ემზადება



29 აგვისტოს ხორვატიის ქალაქ სპლიტში წყალბურთში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. 16 გუნდში საქართველოც არის. დეიან სტანოევიჩის გაწვრთნილი გუნდი ა ჯგუფში იტალიის, ჩერნოგორიისა და სლოვაკეთის ნაკრებებთან ერთად მოხვდა.

**სხვა ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:**

**ბ ჯგუფი:** საბერძნეთი, მალტა, საფრანგეთი, ხორვატია;

**ც ჯგუფი:** რუმინეთი, გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები;

**დ ჯგუფი:** სერბეთი, უნგრეთი, ისრაელი, სლოვენია.

ფლეი ოფში 3-3 გუნდი გავა. საუკეთესოები პირდაპირ მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ, მე-2-3– ადგილოსნები კი ფლეი ოფში ითამაშებენ. აქ გუნდები ასე დაწყვილდებიან: ა2-ც3, ბ2-დ3, ა3-ც2, ბ3-დ2.

წილისყრიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს კარგი შანსი აქვს, 8 საუკეთესო ნაკრებში მოხვდეს.

სტანოევიჩი სპლიტში შემდეგ წყალბურთელებს იახლებს: ირაკლი რაზმაძე, ნიკოლოზ შუბლაძე, ვალიკო დადვანი, ხვიჩა ჯახაია, ნიკა ტყეშელაშვილი, მარკო ელაჩა, ფაბიო ბარალდი, ანდრია ბითაძე, სანდრო ადეიშვილი, ბორის ვაპენსკი, ნიკოლოზ შუშაშვილი, რეზი იმნაიშვილი, ივან სარიჩი, გიორგი მაგრაქველიძე, დუშან ვასიჩი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 2. უდაბნო აფრიკაში; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძვირფასი ქვის, მარჯნის, ქართული სახელწოდება; 6. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 9. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო კინოს, ტრილერის, ბოევიკის მთავარი გმირი; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 14. პურეული მცენარე; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 20. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის შესასვლელი; 23. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 24. ინდოეთის ეროვნული გმირი; 25. ბრინჯისგან მომზადებული კერძი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

**თარაზულად:** 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. ფულის ერთეული პოლონეთში; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე აირი; 27. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შოთი; 2. მღილი; 3. შპიცი; 5. ლომისა; 6. ვაპორეტო; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. ბიჟუტერია; 14. რაი; 16. აქსისი; 18. კილი.

**თარაზულად:** 1. შუამთა; 4. მალთაყვა; 7. ტიტანი; 8. ციურიხი; 12. აჯიკა; 13. ტრიუდო; 15. კაკადუ; 17. უთო; 19. ბურგომისტრი; 20. ციცქა; 21. დისნეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შპრეე; 2. ურავი; 3. წახნაგი; 4. მაცა; 5. ლადა; 6. მიტარბი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ფობია; 16. ბრიჯი; 18. ვარიეტე; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ბრიხი; 25. გაუდა; 26. ჭომა.

**თარაზულად:** 7. ფასანაური; 8. პარანომია; 12. საარი; 13. შაორი; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. აქატი; 21. ბრუტო; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. თურმანიძე.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 აგვისტო


აშშ დოლარი — 2.7908


ევრო — 2.8084


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3074


100 რუსული რუბლი — 4.7073

## ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსათვის




## კრიშტიანო რონალდუს მანჩესტერში დარჩენა არ სურს



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელ ფორვარდ კრიშტიანო რონალდუს გუნდში დარჩენა არ სურს და შესაძლოა კარიერა პორტუგალიაში გააგრძელოს, თუმცა კონკრეტული კლუბი არ სახელდება. რონალდუს იუნაიტედის მთავარ მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა აქვს და ამას არც მალავს. ტენ ჰაგმა ასევე ისაუბრა რონალდუზე და თქვა, რომ მას შეუძლია, გუნდი დატოვოს, თუ დარჩენა არ სურს.

## ანჩელოტი: „სელტასთან თითქმის იდეალური მატჩი ჩავატარეთ“



მადრიდის რეალმა სტუმრად სელტა დაამარცხა 4:1. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა თითქმის იდეალური შეხვედრა ჩაატარა, თუმცა პროგრესი ყოველთვის შეიძლება: „ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშით, თუმცა იყო შეცდომებიც, რომლებზეც მომავალში უნდა ვიმუშაოთ. რეალმა ყველას აჩვენა, თუ რის გაკეთება შეგვიძლია“.

## მბაპე საფრანგეთში გააკრიტიკეს



პსჟ-ს ფორვარდი კილიან მბაპე საფრანგეთში გააკრიტიკეს, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ მას ნეიმართან და მესისთან კონფლიქტი აქვს. ამის გამო მან პსჟ-ს მფლობელებს მათი გაყიდვაც მოსთხოვა, რამაც გუნდში სერიოზული დაძაბულობა გამოიწვია. პსჟ-ს გულშემატკივრები მბაპეს მოქმედებით უკმაყოფილო არიან და შესაძლოა მას დაუსტვინონ კიდეც.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცი შიშველი ხელებით შეებრძოლა ზვიგენს



ამერიკის ნიუ-იორკის შტატის კუნძულ ფაიერ-აილენდზე, მამაკაცი შიშველი ხელებით შეებრძოლა ზვიგენს და მისი ხმელეთზე ამოყვანა შეძლო.

ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ მამაკაცს ტალღები და წყლის დინება ხელს უშლიდა, მაგრამ ის ძუას ხელს არ უშვებდა და ექაჩებოდა. ამავე დროს ის ზვიგენის თავდასხმებსაც იცილებდა. გარკვეული დროის შემდეგ მან მტაცებელ თევზთან მიახლოვება მოახერხა, ხელები კუდში ჩაავლო და ხმელეთზე ამოიყვანა.

აღნიშნული ვიდეოს ავტორი, რომელიც ყოველივე ამის თვითმხილველი გახდა, ემილი მიურეი ამტკიცებს, რომ მამაკაცი ზვიგენთან ბრძოლას და მის დაჭერას არ აპირებდა.

– ის თევზაობდა და შემთხვევით ზვიგენი დაიჭირა. ის ცდილობდა მისთვის ნემსკავი მოეხსნა და გაეთავისუფლებინა, – განმარტა ქალმა.

მის მიერვე გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩანს, რომ მამაკაცი ზვიგენს იჭერს, ხოლო მეორე მეთევზე სპეციალური იარაღის გამოყენებით ცდილობს მტაცებლისთვის ნემსკავის მოხსნას. ნემსკავისგან განთავისუფლებულ ზვიგენს კი ოკეანეში აბრუნებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 22 აგვისტოსათვის



**ვერძი** – მოულოდნელი ცვლილებების დღეა. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობას. სიზმარი აგიხდებათ. **კურო** – მოთმინებით აღიჭურვეთ. ერიდეთ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. ნუ იქნებით სუბიექტური. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. **ლომი** – ბედი მორიგ გამოცდას გიწყობთ. რადიკალური ქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. ეს მეტწილად პირად ცხოვრებას ეხება. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში სირთულეები იჩენს თავს. გარეშე პირებს თქვენს საქმეში ნუ ჩარევთ. **სასწორი** – იდეალური დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გარანტირებულია. **ღრიანკალი** – მშვიდად იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. ხელმძღვანელობასთან დიპლომატიურობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** – ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა დიდია. ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს. **მერწყული** – იზრუნეთ საკუთარ თავზე. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** – შეიცვალეთ გარემო. გადაიხალისეთ გარდერობი. ახალი საქმის დასაწყებად საკმაოდ კარგი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ამასწინათ თილისმა მაჩუქეს, რომელიც ფულს იზიდავს. მეც ავდექი და ჩემი მანქანის უკანა ხედვის სარკეზე ჩამოვკიდე...

– მერე?

– მეორე დღეს ინკასაციის მანქანა დამეჯახა.

●●●

შუაღამეა. კაცი საუნაში გოგონებთან ერთობა. ამ დროს ტელეფონზე ცოლი ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, სად ხარ?

– გზაზე, საცობში ვარ გაჭედილი!

– აბა ერთი დააპიპინე...

●●●

ქალი სამსახურში რეკავს და თანამშრომელს ეუბნება:

– დღეს სამსახურში ვერ მოვალ, ჩემმა ქმარმა საკრედიტო ბარათი დაკარგა და მთელ ბინაში ეძებს...

– კი მაგრამ, შენ რა შუაში ხარ?

– მასზე ვდგავარ!!!

●●●

პარლამენტის ერთი დეპუტატი მეორეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი: ფეხით მოსიარულეები საგზაო მოძრაობის მონაწილეები არიან?

– რა თქმა უნდა.

– მერე ტრანსპორტის გადასახადს რატომ არ იხდიან?

– ჩვენი ფრაქცია, მაგ საკითხზე უკვე მუშაობს...

●●●

ყოფილმა ოფიციანტმა პოლიციაში დაიწყო მუშაობა. ნაცნობი ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის საქმე? როგორ შეეგუე ახალ სამსახურს?

– მართალია, აქ შემოსავალი ნაკლებია, მაგრამ მე ის უფრო მომწონს, რომ კლიენტი ყოველთვის, რომ მტყუანია...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფოტოგრაფ ანა გოგუაძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება



ფოტოგრაფ ანა გოგუაძეს საზოგადოებისგან დროული დახმარება სჭირდება. ანა „კაფე მზიურის“ ხელმძღვანელი და არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ორგანიზატორია.

იგი ეტლიდან გადმოვარდა და სერიოზული დაზიანებები მიიღო.

ინფორმაცია ირაკლი გაფრინდაშვილმა გაავრცელა:

– ანა ჩემი უახლოესი მეგობარია, ერთად დავგეგმეთ ეს მოგზაურობა.

მთელი გულით უნდოდა იმის გადაღება, თუ რატომ გვინდა ევროპაში.

პარიზი მოიარა, ბელგიაში გადაღების დროს კი ეტლიდან გადმოვარდა და მიიღო დაზიანებები.

გადაყვანილია ბრიუსელის წმინდა პიერის სახელობის ჰოსპიტალში, სადაც დაუდგინდა ბარძაყის ძვლის რთული მოტეხილობა.

ანას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ოპერაცია გამოირიცხა. დანიშნულია რთული და ხანგრძლივი მკურნალობის კურსი, რომლის ანაზღაურებაც ამ ეტაპზე ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს.

საავადმყოფოს მიერ მოწოდებული წინასწარი კალკულაციის მიხედვით, საწყისი 2-3 კვირისთვის საჭიროა დაახლოებით 33.000 ევრო. პარალელურად ვცდილობთ თანხების მოძიებას ყველა შესაძლო ინსტანციაში, თუმცა ამ ეტაპზე ყოველი თქვენგანის წვლილი მნიშვნელოვანია.

დაზღვევამ უკვე დააფინანსა თავისი მოქმედების ვადაში არსებული ხარჯები, თუმცა ეს არ არის საკმარისი.

თქვენი დახმარებისა და სისწრაფის ძალიან დიდი იმედი გვაქვს.

## სალომე ტეტიაშვილი: „წავიყვანე დედა ზღვაზე და მან ბედნიერებისგან იტირა“



მომღერალმა სალომე ტეტიაშვილმა 20 წლის შემდეგ ზღვაზე წაიყვანა დედა, რომელმაც ბედნიერებისგან იტირა:

– 20 წლის წინ, როცა ძალიან პატარა ვიყავი და ძალიან გვიჭირდა, არ ვიცი, როგორ, მაგრამ დედამ რამდენიმეჯერ წამიყვანა ბათუმში დასასვენებლად. მუდმივად ცდილობდა, რომ სხვა ბავშვების ფონზე თავი დაჩაგრულად არ მეგრძნო. იქაც ზღვიდან საკმაოდ შორს ვცხოვრობდით და ყოველდღე ტრანსპორტით დავყავდი ზღვაზე.

იმის შემდეგ დედა ზღვაზე არ ყოფილა. რატომ, არ მკითხოთ, რაღაცნაირად ასე დალაგდა.

როცა გავიზარდე, ხან სამუშაოდ დავდიოდი ზღვისპირეთში, ხან – მეგობრებთან ერთად, ხან საერთოდ ვერ მივდიოდი და ამასობაში რა დრო გავიდა.

20 წლის შემდეგ მე წავიყვანე დედა ზღვაზე და მან ბედნიერებისგან იტირა.

## ნინი ნუცუბიძე ბერლინის კრეატიული ხელოვნებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში ისწავლის



მომღერალი ნინი ნუცუბიძე ბერლინის კრეატიული ხელოვნებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში ისწავლის:

– გულაჩუყებულმა, სიამაყით მინდა გაცნობოთ, რომ ჩემს სწავლას ბერლინის კრეატიული ხელოვნებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში დააფინანსებს კომპანია „სარაჯიშვილი“!

დიდხნიანი მეგობრული/საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს ამ კომპანიასთან, მაგრამ ასეთი გვერდში დგომა სრულიად მოულოდნელია და ყველანაირ საზღვარს სცდება!

მადლობის გადახდას ვერ დავიწყებ, რადგან სიტყვები არ მეყოფა. ჩემო უსაყვარლესო და უკარგესო მეგობრებო – ძალიან, ძალიან მიყვარხართ!

ბახვა ბრეგვაძეს ცალკე რომ არ მივესიყვარულო, არ შემიძლია და, დარწმუნებული ვარ, არავინ მიწყენს. ძალიან მიყვარხარ!

## თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება




24 სექტემბრიდან თელავი მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს.

ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული ფესტივალი მსმენელს წელსაც გამორჩეულ, განსაკუთრებულ და დაუვიწყარ საღამოებს სთავაზობს.

ფესტივალი 24 სექტემბერს თელავის დრამატული თეატრის დარბაზში გაიხსნება. საფესტივალო სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორი არიელ ცუკერმანი უხელმძღვანელებს. სოლისტები იქნებიან დანგ ტაი შონი და სტელა ჩენი. ფესტივალის პირველ დღეს აჟღერდება ბრამსისა და შოპენის ნაწარმოებები.

25 სექტემბერს თელავის დრამატული თეატრის დარბაზში ინსტრუმენტული კონცერტების საღამო გაიმართება.

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი არიელ ცუკერმანის ხელმძღვანელობით და სოლისტები ტიმოთი ჩოი და ალექსეი შადრინი შეასრულებენ ბეთჰოვენისა და დვორჟაკის ნაწარმოებებს.

29 სექტემბერს თელავის დრამატული თეატრის დარბაზი კამერული მუსიკის კონცერტს უმასპინძლებს. ელისო ვირსალაძე, ანდრეი ბარანოვი და ალექსანდრ რუდინი ააჟღერებენ მოცარტისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს.

ფესტივალი პირველ ოქტომბერს დაიხურება. თელავის დრამატული თეატრის დარბაზში ფესტივალის დასკვნითი კონცერტი ჩატარდება.

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი არიელ ცუკერმანის დირიჟორობით ელისო ვირსალაძესთან და ალექსანდრ რამისთან ერთად დვორჟაკის, შუმანისა და შოპენის ნაწარმოებებს დაუკრავენ.

ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული ფესტივალი უმნიშვნელოვანესია კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის. ყოველწლიურად პიანისტი საშუალებას აძლევს მსმენელს, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსების მიერ შესრულებული კომპოზიტორების გენიალური ნაწარმოებები მოისმინონ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 2. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 3. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 5. უძველესი ქართული დამწერლობა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი, ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 18. მოყავისფრო ციტრუსოვანი ხილი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 8. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. ყვითელი ფერის მტკიცე, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 13. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 15. სომხური ცეკვა; 17. ბატონი, მემამულე შუა აზიაში ძველად; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 21. მგალობელი ჩიტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

